


# ნოდარ ჯალაღონია



თუ მამულს აჩ  
კუპატონე ეთ

96.394

3

## ნოდარ ჯალაზონია



თუ მამულს არ  
ვუპატრონეთ

სიახლი

გამოიცემულია „ზანი“  
თბილისი, 2011

პოეტის ეს ახალი კრებული, რომელშიც  
ძირითადად ბოლო ორ წელიწადში დაწერილი  
ლექსებია შესული, აგრძელებს და ავითარებს მისი  
შემოქმედების ძირითად ხაზს, სამშობლოს თვემას.

K2275·437  
3

რედაქტორი ჩებალა გონია

ISBN 978-9941-9132-6-6

© 6. ჯალაფონია, 2011, გამომცემლობა „ზანი“

## „მხრიდობლობის და მხრიდობების შექმნისათვის“

დედამიწის ზურგზე არ დაბადებულა პოეტი, რომელსაც თავისი სამშობლოსთვის არ ემდეროს. ქართველი მგოსნებისთვისაც საქართველო ყოველთვის იყო ხატიცა და სახატეც, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში არ მეტყველება ისეთი პოეტი, რომელსაც თავის მატულზე იმდენი ლექსი დაეწეროს, რამდენიც ნოდარ ჯალალონიას. უმთავრესი კი ის არის, რომ ბატონ ნოდარის ნაყოფიერი შემოქმედება, რომელიც უკვე ექვს ათეულ წელიწადს ითვლის, მაღალ მხატვრულ ხარისხშია აყვანილი; ამიტომაც არის იგი ცნობილი ქართველი შემოქმედი, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი მკითხველის დიდი სიყვარულით სარგებლობს.

პოეტის ეს ახალი კრებულიც, რომელშიც ძირითადად ბოლო ორ წელიწადში დაწერილი ლექსებია შესული, აგრძელებს და ავითარებს მისი შემოქმედების ძირითად ხაზს. სამშობლოს თქმა, თითქოს ათასჯერ ნამდერი და გადამდერებული, ნოდარ ჯალალონიასთან მუდამ ახლებურადაა წარმოდგენილი და თანამედროვეობას მისადაგებული, რაშიც პირველ რიგში ქართველი ადამიანის როლი და მოვალეობა იგულისხმება თავისი ქვეყნის წინაშე; შორეული წარსულის გმირთა მოხმობაც მოწოდებაა იმისა, თუ როგორ ვაქციოთ დღვევანდელი სამშობლო უკეთესად და თუ როგორ უნდა სრულყოს თითოეულმა ქართველმა საქუთარი თავიც.

მკითხველი აღიარებს და ენდობა ნოდარ ჯალალონიას, რადგან მისი პოეტური სიტყვა წრფელია და მართალი:

„ნადდი სტრიქონი და ნადდი ლექსი  
 იბადება და გულიდან მოდის“.

გულიდან წამოსული სტრიქონების სიმართლეს ზურგს პოეტის პირადი ცხოვრების მაგალითიც უმაგრებს – იგი ისე ცხოვრობს, როგორც მისი ქვეყანა, მისი ერი, რომელსაც უმძიმესი განსაცდელის ჟამს არა მარტო თავისი კალმით, არამედ თავისი სხეულითაც გადაეფარა და დღესაც შეად არის სამიხოდ, როგორც სამშობლოს მაჯისცემას მიყურადვ-ბული შემოქმედი და მოქალაქე.

ერთ ლექსში პოეტი ამბობს:

„რადგან არასდროს მწყინდება  
 ჩემი სამშობლოს შექება,  
 მე სხვანაირი ლექსები  
 არც მინდა და არც მექნება“.

ნოდარ ჯალაძონიას შემოქმედების მცოდნემ კარგად უწყის, რომ პოეტს მშვენიერი სატრუტიალო ლექსებიც აქვს, რომლებმიც ოსტატურადაა წარმოჩენილი ქართული ხასიათი, ქართველი მამაკაცისათვის დამახასიათებელი რაინდული კდემამოსილება ქალის მიმართ, ასე რომ, ამ და სხვა უანრიის ნაწარმოებებსაც ვერც ავტორი და ვერც მისი მკითხველი „სხვანაირ ლექსებად“ ვერ ჩათვლის.

ნოდარ ჯალაძონია ჭეშმარიტად ქართულ ლექსებს წერს, საქართველოსა და ქართველ ხალხს, ქართველ ადამიანს უმღერის!

დიდხანს, დიდხანს ნუ მოუშალოს ღმერთმა ბატონ ნოდარს ეს სიმღერა, მკითხველებს კი – მისი დალოცვილი კალმის მადლი!

**პებალ შონია**

## თუ მამულს არ ვუპატრონეთ

ნუდარ ვიქნებით მარტოდენ  
სხვათა ცქერით და იმედით,  
სამშობლოს ვერვინ უშველის,  
ჩვენ თვითონ თუ გავიმეტეთ.

უნდა წუხილს და გოდებას  
და წუწუნს გადავეჩვიოთ,  
ქართველებს გულის გატეხას  
თავის გატეხა გვერჩიოს.

თუ მოუმრავლდა ქვეყანას  
ორგულები და ლაჩრები,  
თუ მამულს არ ვუპატრონეთ,  
უპატრონოდ ჩვენ დავრჩებით.

ვეღარ გვიშველის მარტოდენ  
ოხვრა და წივილ-კივილი,  
თუ არ ვიცოცხლეთ სამშობლოს  
წუხილითა და ტკივილით.

თუ დავივიწყეთ მარაბდა,  
„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი,  
თუ წინაპართა სახელებს,  
საფლავებს ვერ ვუპატრონეთ,

„ქართლის ცხოვრების“ ფურცლები  
თუ დაგვრჩა გადაუშლელი,  
სამშობლოს ვერვინ უშველის,  
ჩვენ თვითონ თუ არ ვუშველეთ.

დღესაც ხომ მიწა დიდგორის  
გვასულდგმულებს და გვახელებს  
და უნდა მივყვეთ, მივხდიოთ  
დიდ წინაპართა სახელებს.

2010 წ.  
აპრილი

## შველა ქართველის ვალია

შველა ქართველის ვალია  
ქვეყნისთვის თავის დადება.  
იგი არც ჩვენით იწყება  
და აღარც ჩვენით თავდება.

სამშობლო ყველას ეკუთვნის,  
ყველა დროსა და თაობას,  
უსამშობლოოდ სიცოცხლე  
ყოფილა არარაობა.

რადგანაც სხვა შველაფერი  
ამქვეყნად წარმავალია,  
სამშობლოსათვის სიცოცხლე  
შველა ქართველის ვალია.

2010 წ.  
ივნისის 10

## „წუთისოფლის სტუმრები ვართ“

„წუთისოფლის სტუმრები ვართ“ – ასე უთქვამთ  
 ჩვენში ადრე,  
 მაგრამ ყველა მოსულ ქართველს თავის ქვეყნის  
 ვალი აღევს.

სტუმრად მოსვლა ვინც ისურვა ვეღარ შერჩა  
 ქართულ მიწას,  
 ვერ იგუა საქართველომ და მასპინძლად ვეღარ იქცა.

სამშობლო კი აცოცხლა და აღიდგულა  
 ქართულ სულმა,  
 ვინც ნამდვილი ქართველია, არ მოსულა  
 ჩვენში სტუმრად.

ვინც ბოლომდე უერთგულა ქართულ ცას და  
 ქართულ მიწას,  
 ის ცოტნე და ის თევდორე საქართველოს  
 დღესაც იცავს.

სამშობლოსთვის იცოცხლა და არც არასდროს  
 არ მოკვდება  
 ის ქეთევან დედოფალი, მართლაც, ჩვენი  
 ქართვლის დედა.

ის დავითიც, ის თამარიც, დიდი შოთა რუსთაველი,  
 ის ცხრა ხერხეულიძე და ის სამასი არაგველი.

ვინც დიდგორის, ბასიანის და კრწანისის მიწად იქცა,  
 ყველა ისევ აქ არის და ისევ საქართველოს იცავს.

რა სტუმარი, რის სტუმარი, რას მიქვია  
 სტუმრად მოსელა,  
 საქართველოს მატიანეს ისევ მათი მადლი მოსავს.

მკვდარია თუ ცოცხალია, თავის ცის და  
 მიწის მცველი  
 ყველა არის საქართველოს პატრონი და მასპინძელი.

2010 წ.  
 პარიზი

## ვისაც საქართველო უყვარს

ვინც არასდროს არ იღლება  
 ქვეუნის უდლის ტარებით,  
 ვისაც საქართველო უყვარს,  
 ყველას გეთაყვანები.

სულიც მდერის, როცა ჩვენში  
 „იავნანას“ მდერიან  
 და ვინც ებრძვის ქართულ ენას,  
 ყველა ჩემი მტერია.

ჩალის ფასი აღარ ადევს  
 მათ სახელს და ტიტულებს,  
 სკამისა და ტახტის მონებს  
 და ვერცხლად გაყიდულებს.

მაგრამ ვისაც შვილობა სურს  
 ალგეთის და მარაბდის,  
 სულერთია, ვინ იქნება,  
 ქართველი თუ არაბი,

ის, ვინც არის ქართველის ბედის  
 მოზარე და მხილველი,  
 სულერთია, ვინ იქნება,  
 მცხეთელი თუ ტფილელი,

ვინც სისხლით და ოფლით იცავს  
 ჩემი ერის მომავალს,  
 მე იმ კაცის ფეხის მტვერი,  
 მე იმ კაცის მონა ვარ.

თუ ცოცხალმა ჩემი ქვეყნის  
 უღელი ვერ ავწიე,  
 ღმერთო, მათი საფლავების  
 მიწად მაინც მაქციე.

2009 წ.  
 03 ნოემბერი

## არ უწერია გადაშენება

– „ხვალ საქართველო აღარ იქნება“,  
 ისმის ორგულთ და რეგვენთ დაღადი.  
 ამგარი სიტყვა და გაფიქრებაც  
 არის ქვეყნის და ერის ღალატი.

ეს რეგვენები სამშობლოს მტრებზე  
 ათასჯერ უფრო მტრები არიან.  
 ვინც საქართველოს სიკვდილზე ფიქრობს,  
 სამშობლოსათვის ცოცხლად მკვდარია.

თუკი დავკარგეთ რწმენა ხვალისა,  
 მაშინ სიცოცხლეს რაღა ფასი აქვს.

მწამს, საქართველო ისევ იხილავს  
 ახალ დიდგორს და ახალ ბასიანს.

მჯერა, ღვთისმშობლის წილნაყარ მიწას  
 არ უწერია გადაშენება.

აღარ მოაკლებს ხვალაც უფალი  
 თავდადებულს და აღმაშენებელს.

მჯერა, ღუპუები ალგეთისანი  
 საქართველოში ისევ ივლიან,  
 დაიბადება სხვა რუსთაველიც  
 და გვეყოლება ხვალ სხვა ილიაც.

მწამს, საქართველოს გადასარჩენად  
 ქართული ენა ისევ იომებს  
 და გვეყოლება ხვალ სხვა უშაველაც,  
 აკაკიცა და გალაკტიონიც.

მჯერა, სამშობლო ცხრა შვილის დედას  
 არც მომავალში მოისაკლისებს,  
 არც ხვალ მოაკლებს თამარს, ქეთევანს,  
 აღარც წყნეთელს და აღარც წავკისელს.

და მე ვადიდებ ყველა იმ ქართველს,  
 ვინც ცხოვრობს ხვალის რწმენით, იმედით,  
 ვინც არც ცოცხალი და აღარც მკვდარი  
 თავის სამშობლოს აღარ იმეტებს.

ვეთაყვანები ყველა იმ ქართველს,  
 ვინც თავის ხალხს და მამულს აჩვენა –  
 სამშობლოსათვის დაიბადა და  
 მოკვდა სამშობლოს გადასარჩენად.

„სატრფოს სიყვარული ნეტარებაა,  
 სამშობლოს სიყვარული – სიამაყე“.  
 ღია ანდრულაძე

საცოდავია ყველა ქართველი,  
 ვინც უფლის ნებით ვეღარ ამაღლდა,  
 ვისაც სამშობლო არ ჰყვარებია  
 და არ უვლია ქვეყნად ამაყად.

საცოდავია, ვინც ვერ იგებდა  
 თავის ქვეყნის და ხალხის იარას,  
 ვინც სამშობლოში წელგამართულმა  
 ვერ იცხოვრა და ვეღარ იარა.

თუმცა კარგია ის ნეტარება,  
 ეს სიამაყე მაინც სხვა არი,  
 მაინც სხვა არის თურმე სამშობლოს  
 ხოტბა, გალობა, ხმა და საარი.

და თქვენი სულიც, ჩანს, ქალბატონო,  
 მამულზე ფიქრით ისე ამაღლდა,  
 სუფთა გულით და სუფთა გონებით  
 ქართულ მიწაზე დგახართ ამაყად.

სამშობლო ჩვენი უპირველესი  
 სალოცავი და საფიცარია,  
 ვინც სამშობლოთი არ იამაყებს,  
 სამშობლოსათვის ცოცხლად მკედარია.

2010წ.  
 გაიხ

## დიდია ქვეყნის ტკივილი

შაპ-აბასმა 100 ათასი ქართველი  
 გადაასახლა საქართველოდან. დღეს  
 მილიონიამდე ქართველია საქართვე-  
 ლოდან წასული.

დიდია ქვეყნის ტკივილი,  
 მათი წუხილიც დიდია,  
 ადრე თუ ძალით მიჰყავდათ,  
 ახლა თვითონვე მიდიან.

არაფერს ნიშნავს იარო  
 მაღდარი კაცის იერით,  
 მარტო პური რას უშველის,  
 თუ სული დარჩა მშიერი.

იცის ქართველმა ოდითგან,  
 თუ სამშობლოსთვის არ კვდება –  
 სხვის მიწას არ ემატება,  
 მაგრამ სამშობლოს აკლდება.

არც თბილი თავშესაფარი  
 გულს გაციებულს არ შეელის,  
 არ მოსცილდება სიზმრები,  
 მწარე ფიქრების ამშლელი.

თავის ხალხსა და ქვეყანას  
 ასე იმიტომ მისტირის,  
 აქ ელის გარდაცვალება,  
 უცხო მიწაზე – სიკვდილი.

იცის, რომ უსაქართველოდ  
სიმშვიდე არ უწერია,  
აქ ქართულ მიწად იქცევა,  
იქ მხოლოს მიწის მტვერია.

და მწარე ბედის პატრონნი  
ადრე თუ გვიან ხვდებიან,  
უბრუნდებიან სამშობლოს  
და ქართველებად კვდებიან.

2009 წ.  
დეკემბერი

## მარიამობის დღეს ნათქვამი ლექსი

I

ლვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე  
რადგან გაჩენა მედირსა,  
მადლობელი ვარ ღმერთის და  
მადლობელი ვარ ბედისა.

რამდენიც უნდა მიჭირდეს,  
ვერა და ვერ მოვშორდები,  
სამშობლოსათვის ვცოცხლობ და  
სამშობლოსათვის მოვკვდები.

II

ვუყურებ ტელეგრანს და  
სული წესს და მეწურება,

გულს მიკლავს უცხო მიწაზე  
მყოფი ქართველის ყურება.

სად ცდები, სიტყვავ ქართულო,  
სამშობლოსაოვის სათქმელო,  
ანდა შენ, უცხო მიწაზე  
დაბერებულო ქართველო.

2009 წ.  
აბგისტო

\* \* \*

რადგან ქართველად გაჩენა  
წყალობა არის ღმერთის,  
ჩვენი საქვეყნო ვალია  
და ხსნაა ერთადერთი,  
სადაც არ უნდა ცხოვრობდეს,  
სადაც არ უნდა მოხვდეს,  
ქართველად დაბადებული  
უნდა ქართველად მოკვდეს.

2009 წ.  
აბგისტო

## აფხაზეთიდან ლტოლვილებს

თუმც გიჭირთ, ვხედავ, თქვენს სახეს  
 უიმედობა არ ადგას  
 და ლექსი თქვენი საქები  
 არ შეიძლება არა ვთქვა.

მწამს, აფხაზეთზე ფიქრებმა  
 წაიდო ლხინიც, გართობაც  
 და ებრძეით სიმუხანათეს  
 და ბედის უკუღმართობას.

თქვენს საძმოსა და სამოყვროს,  
 ხომ ვხედავთ, ბევრი აკლდება  
 და თქვენც გაკლდებათ ხომ წლები,  
 მაგრამ იმედი არ კვდება.

კვლავ ეფერებით თქვენს კუთხეს,  
 უპვე სიზმრებში დანახულს,  
 ეალერსებით საფლავებს,  
 იქ დარჩენილს და დამარხულს.

და გჯერათ, ვინც იქ დაგხვდებათ  
 გულით, იმედით, განცდებით,  
 ის არის ნაღდი აფხაზი  
 და არა სკამის კაცები.

ეს იმედი და ეს რწმენა  
 ჩვენია, განა სხვისია,  
 ერთად დალგრილი ოფლი და  
 ერთად დალგრილი სისხლია.

ამ გრძნობას ვეღარ გაიგებს  
შეიღი სხვა მიწის, სხვა ერის,  
სხვებს იქ სჭირდებათ მარტოდენ  
მიწა, წყალი და ჰაერი.

ჩვენ კი ერთი გვაქვს წარსული  
და მომავალიც ერთია  
და ჩვენი მსაჯულ-განმსჯელი  
ამქაუნად მხოლოდ ღმერთია.

რადგან მომავლის იმედი  
თქვენს გულში უფრო განძღება,  
მე ვენაცვალე თქვენს ლოდინს,  
თქვენს მოთმენას და გაძლებას.

2009 წ.  
0860ხ0

## დედების ცრემლი

„იქნება ვეფხვის დედაი  
ჩემზე მწარედა ტირისა,  
წავიდე, მეც იქ მივიდე,  
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა“.  
ხალხური

„იარებიან დედანი, ტირილით თვალცრემლიანნი“,  
ვაგლახ, რომ უამი დამდგარა ცუდი და ავიზნიანი.

ოდით ძმები და მოყვრები და ერთმანეთის გამტანნი,  
ახლა მტრობენ და ქიშპობენ, შეცდენილები სატანის.

იქით ცრემლებად იღვრება დედა აფხაზი შეილისა,  
ამბობს, ქართველის დედაიც, ვიცი, რომ  
ჩემებრ ტირისა.

აქეთ ქართველიც არ ცხრება, არ ეპუება ელდასა,  
– წავიდგ, სამძიმარ ვუთხრა მოკლულ  
აფხაზის დედასა.

ასე ეძებენ ერთმანეთს ტირილით თვალცრემლიანნი,  
მიტევება და შენდობა არასდროს არის გვიანი...

აღარ გვჭირდება გამრიგე სხვა ქვეყნისა და  
სხვა რჯულის,  
ჩვენი დედების ცრემლები იქნება ჩვენი მსაჯული.

და მგლოვიარე დედები ერთურთს უმზერენ ვედრებით,  
ერთმანეთსა პგავს ცრემლები ყველა  
შეილმოკლულ დედების.

და მჯერა, მოვა დრო-ჟამი და ნურვინ ნუ გაიკვირვებს,—  
მოკლულ ბიჭების საფლავზე ორივე ერთად იტირებს.

რადგან ლმერთია მოწყალე და ბოლო სიტყვას  
ცა იღებს,  
იმ სისხლსაც დედის ცრემლები გადარეცხავს და  
წაიღებს.

გაქრება ქიშპი და მტრობა და არასოდეს დავშრებით,  
საქართველოში ისევე მმად და მოყვრებად  
დავრჩებით.

2010 წ.  
გართი



\* \* \*

ჩვენს დიდ წინაპრებს მამული  
 დაუცავთ მართლაც კბილებით,  
 არც დღეს აკლია სამშობლოს  
 ქვეყნის და ერის შვილები.

მაგრამ თუ ვერცხლმა იძალა,  
 იუდა გამოგვერია,  
 სულგაყიდული ქართველი  
 ყველაზე დიდი მტერია.

როს მტერი ვეღარ გვჯობნიდა  
 ვერც ჭერით და ვერც ძალათი,  
 დამარცხებულა სამშობლო  
 ბევრჯერ ქართველის ლალატით.

მაგრამ ღვთისმშობლის წყალობა  
 მოგვყვება ჩვენ იმთავითვე,  
 და არ მოგვაკლებს უფალი  
 არც შოთას და არც დავითებს,

არც ვაჟას და არც აკაქის  
 და აღარც წმინდა იღიას,  
 არაგველები ისევე  
 მარაბდის ველზე ივლიან.

ქართული გენი და სისხლი  
 იცოცხელებს და ისვიანებს  
 და საქართველო ისევე  
 იდიდგორ-იბასიანებს.

2010 წ.  
 თებერვალი

სასაფლაო

განაღა მარტო სასაფლაოა,  
უნდა შეგვეძლოს იმის დანახვაც,  
ცას რომ აკლდება,  
მიწას ამდიდრებს  
ვაჟქაცისა და გმირის დამარხვა.

ბევრი ქვეყნისთვის თავდადებული,  
რადგან სიკვდილმა მიწად აქცია,  
მჯერა, ნამდვილი ქართველისათვის  
ქართული მიწა მართლაც განხია.

2009 ვ.  
აბგონი

\* \* \*

თუმცა ბევრი მტერი ჰყავდა  
მართალ სიტყვას და სიკეთეს,  
სიმართლემ და სიყვარულში  
მოგვიყვანა მაინც დღემდე.

მჯერა, ცოდვა-ბრალისაგან  
ისევ უფლის ნება გვიხსნის,  
რადგან ქვეყნად სიყვარული  
ნაკურთხია უფლის სისხლით.

2010 V.  
85060

## როდესაც ვისმენ ლოცვა-გალობას

როდესაც ვისმენ ლოცვა-გალობას,  
ასე მგონია და არა კცდები,  
ეპლესიაში მრევლი მრავლდება  
და სამშობლოში – ჯარისკაცები.

როცა იზრდება სამწყსო და მრევლი,  
ჩანს, იზრდებიან არაგველებიც,  
იბადებიან თევდორეები,  
ქეთევანები, წავკისელები.

და ყველას, ვისაც უყვარს უფალი,  
თავის სამშობლოც უნდა უყვარდეს  
და მარაბდაზე არაგველებმა  
სამშობლოს ვალი გადაუხადეს.

ამიტომ მჯერა, ჭირსა და ლხინში  
აღარ დავრჩებით ქვეყნად მარტონი,  
ვართ ღვთისმშობელის წილხვედრი მიწა  
და ქრისტელმერთის კვართის პატრონი.

2010 წ.  
02 ნოემბერი

\* \* \*

მე ვერ ვიქნები მსაჯული  
სხვა ქვეყნის, ხალხის, სხვა ერის.

ქართველს სჭირდება სამშობლო,  
როგორც წყალი და ჰაერი.

რაღაა ჩვენი სიცოცხლე,  
თუ ვერ ვთქვით ჩვენი სათქმელი.  
ნაფოტს ჰგავს წყალში ჩავარდნილს  
უსამშობლოო ქართველი.

2009 წ.  
გაიხ

\* \* \*

თუმც ქართული სიტყვის, ენის  
ხოტბა-ქება ბევრჯერ ითქვა,  
„სამშობლოზე“ უკეთესი  
არ არსებობს ქვეყნად სიტყვა.

თუმც ქართული ლექსის ქება  
მიხარია, როცა მესმის,  
„სამშობლოზე“ უკეთესი  
არ ითქმება ჩვენში ლექსი.

თუმცა ბევრი უცხო ქვეყნის  
დიდება და ქება მესმის,  
თვით სამოთხეც არ იქნება  
სამშობლოზე უკეთესი.

2010 წ.  
გაიხ

## წუთია წუთისოფელი

რადგან წუთია წუთისოფელი,  
 დრო-ჟამშა ბრძოლის ველად აქცია  
 და საფლავისთვის სიცოცხლეშივე  
 არის შედლი და გაწამაწია.

სასაცილოა ეს ყველაფერი  
 და უაზრო ფიქრს ვეღარ ავყვები.  
 სულ არ მაწუხებს, თუ რა ერქმევა  
 იმ საფლავს, სადაც დავიმარხები.

სულ არ მაწუხებს, თუ რა ერქმევა,  
 ოდონდ ქართული მიწა მეყაროს,  
 ოდონდ მამულზე ფიქრით, ოცნებით  
 სულმა იღხინოს და ინეტაროს.

თორემ ცხოვრებამ ბევრჯერ გვანახვა,  
 ვინ ვინ არის და ვინ სად მარხია,  
 რომ ყველაფერის ბჭე და მსაჯული  
 ისევ დროა და ისევ ხალხია.

და მეც უაზრო ფიქრებს, ამაოს,  
 ვეღარ ვენდობი და ვერ ავყვები.  
 სულ არ მაწუხებს, თუ რა ერქმევა  
 იმ საფლავს, სადაც დავიმარხები.

ოდონდაც სულმა საქართველოსთვის  
 იქაც იცოცხლოს და ინეტაროს,  
 ოდონდ ქართველად დავიმარხო და  
 ოდონდ ქართული მიწა მეყაროს.

## არის სიმდიდრე საქართველოსი

რადგანაცა გვყავს ბერი თევდორე,  
ქეთევანი და მეუე თამარი,  
რადგანაცა გვაქვს მიწა მთაწმინდის,  
შამქორი ომში ნათამარი,

რადგანაც ვხედავთ მიწას დიდგორის,  
დიდი დავითის დროშით შემოსილს,  
ის ვარძია და სვეტიცხოველიც  
არის სიმდიდრე საქართველოსი.

რადგანაცა გვაქვს „ქართლის ცხოვრება“,  
ჩვენი სისხლით და ცრემლით ნაწერი,  
რადგან მეუფე მიწას ქართვლისას  
ისევ მოწყალე თვალით დასცეკრის,

რადგანაცა გვაქვს ქვართი უფალის  
და ვართ პატრონი „ვეფხისტყაოსნის“,  
ეს ყველაფერი მტრების ჯინაზე  
არის სიმდიდრე საქართველოსი.

2010 წ.  
გაიხ

## ქართული ცეკვა, სიმღერა

იყო ოდითგან ქართველის სულსა და  
გულში ჩართული  
ღვთიური „იავნანა“ და უკვდავი ცეკვა „ქართული“.

თუმცა არ გვაკლდა მოყვარე, მტერსაც  
ყოველთვის ველოდით

და უკვდავების სიმღერას – „მრავალუამიერს“  
 გმღეროდით.

თუმც პქონდათ დიდი სურვილი ურჯულოებს და  
 წარმართებს,  
 ქართული ცეკვა-სიმღერა ვერა და ვეღარ წაგვართვეს.

პატრონნი „ლილეს“, „მხედრულის“, „ხორუმისა“ და  
 „ხანჯლურის“  
 ვერ მოგვსპეს, ვერ დაგვაჩოქეს და  
 ვეღარ გადაგვარჯულეს.

ვერა და ვერ მოერივნენ „ოდოიას“ და „ვარადას“,  
 ქართული ცეკვა-სიმღერა სამშობლოს ედგა ფარადა.

ჩვენ განა მარტო გელათის, გულის ზარებსაც  
 ვრეკავდით,  
 ღმერთი სამებით არის და ჩვენც „ხამაიას“ ვცეკვავდით.

დღესაც ვახსენებთ ამაყად იმ წლებს ომებით  
 დასერილს,  
 ხან სიმღერებად ნათქვამს და ხანაც ცეკვებით  
 დაწერილს.

მათი სიმტკიცე, სილადე გახაგებია სრულიად,  
 ქართული ცეკვა-სიმღერა ხომ საქართველოს სულია.

და თუ დასჭირდა მამულს კვლავ პანგი ბრძოლის და  
 ლხინისა,  
 სიმღერა მაჩაბელის და ცეკვები სუხიშვილისა,

ის სიმღერები, ცეკვები განა კვდებიან, ქრებიან,  
 ქართველი გოგო-ბიჭები ისე ცერებზე დგებიან.

და ვით ტაო და კლარჯეთი, სვეტიცხოველი, ვარძია,  
ქართული ცეკვა, სიმღერა დღესაც სამშობლოს  
განძია.

2009 წ.  
დეკემბერი

## ევა — პირველი დედა

როდესაც ევას ვახსენებთ,  
იქნება ვერა ვხვდებით,  
ვაშლიც, ევაც და ადამიც  
იყო უფალის ნებით.

იმ ვაშლში უზენაესი  
სიცოცხლის საწყისს დებდა,  
რომ არის დედამიწა და  
ევა — პირველი დედა.

2010 წ.  
თებერვალი

## ქართველი ქალი ქვეყნისთვის ხან ფარი იყო, ხან ხმალი

როს მტერი მოგვალგებოდა  
ბოდმით, მახვილით, ლახვარით,  
ქართველი ქალი ქვეყნისთვის  
ხან ფარი იყო, ხან ხმალი.

თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამს  
ვერა, ვერ ეგუებოდა,  
ხელში იღებდა იარაღს  
და წავკისელი ხდებოდა.  
თან „იავნანას“ მდეროდა  
და სამშობლოსთვის კვდებოდა.

ახლაც ბურჯებად უდგანან  
მამულს ქართველი დედები,  
ქვეყნის და ერის უღელი  
რომ მიაქვთ თავგამეტებით.

პირნათელნი ხართ, დედებო,  
დღესაც სამშობლოს წინაშე,  
ოჯახის ლუკმაპურისთვის  
რომ დგახართ ქარში, წვიმაში,

ოჯახის გადასარჩენად  
მშობლიურ კერას რომ ტოვებთ  
და უცხოეთში რომ ებრძვით  
დარდს, ვარამს და სიმარტოვეს.

ქვეყნის, ოჯახის, აკვნების  
თავგანწირულნო მხედრებო,  
მართლაცდა დედაკაცებო,  
მართლაცდა ქართვლის დედებო.

2010 წ.  
აპრილი

## ქართვლის დედებო, ქართვლის მამებო

თქვენი ლექვები ალგეთისანი  
ქართულ მიწაზე როცა იელიან,  
აღარ იფიქროთ და არ გეგონოთ,  
ისინი მხოლოდ თქვენი შვილია.

ყველა აკვანი და იავნანა –  
ეს ხომ სამშობლოს მომავალია.  
შვილის გაჩენა საქართველოში  
უპირველესი ქვეყნის ვალია.

რადგან იმათი ღიმილ-სიცილი  
შეელის სამშობლოს ყველა ჭრილობას,  
მათი მოსვლა და ყოფნა ამქვეყნად  
ნიშნავს ერის და ქვეყნის შვილობას.

ოდონდ იცოდეთ, ესეც იცოდეთ,  
რომ აღარ ექცეს მამულს სადარდოდ,  
მარტო გაჩენა არაფერს ნიშნავს,  
უნდა სამშობლოს შვილად გაზარდოთ.

და ის ლექვები ალგეთისანი  
დიდგორის ველზე რომ გაივლიან,  
ქართვლის დედებო, ქართვლის მამებო,  
ნუ ფიქრობთ, მარტო თქვენი შვილია.

2009 წ.

## შოთა რუსთაველი

იბადებოდა და მოჟყვებოდა  
ანგელოზების ლოცვა-გალობა.  
ზოგის სიცოცხლე დედამიწაზე  
არის ქვეყნისთვის უფლის წყალობა.

ზოგი რჩეული არის ღმერთის და  
ზოგი რჩეული – ერის, ბერისა.  
არის პოეტი თავის ხალხის და  
არის პოეტი ყველა ერისა.

• • •

მაგრამ ხანდახან აღარ გვასვენებს  
აუხსნელი და ფიქრი უთქმელი,  
ნებავ ვინ იყო ანდა რა გვარის  
დედა და მამა დიდი რუსთველის.

ეს იცის მხოლოდ მაღალმა ღმერთმა,  
იცის სამშობლომ მიწამ და ცამაც,  
ქართული ენა, სიტყვა და ლექსი  
იყო რუსთველის დედაც და მამაც.

2009 წ.  
ოძოობები

# საქართველოს მარადიული დესპანი

ორმში დაიდგმება  
შოთა რუსთაველის ძეგლი.

დესპანები იცვლებიან, მოდიან და მიღიან,  
მაგრამ ბრძენთა სახელები ქვეყნებს შორის ხიდია.

ლვთის რჩეულებს დრო და ჟამი, წლები ვედარ  
ერჩიან  
და რუსთველი საქართველოს შეუცვლელი კლინია.

ის სამშობლოს გვარს და სახელს ყველას  
გულთან მიიტანს,  
ქართულ ლექსით, სიმღერებით, დარდითა თუ  
ლხინითა.

მართლაც დიდი ბრძენქაცების საფერი და სადარი,  
ქართულ ენის ბალავარი, ქართულ ლექსის  
სარდალი.

რუსთაველი – საქართველოს იმედი და ფარ-ხმალი,  
მოყვასთათვის შარბათი და მტრებისათვის ლახვარი.

თუმცა ბევრი სახელები და ენები განქარდნენ,  
ჩვენ რუსთველის სიტყვის მაღლით მოვაღწიეთ  
აქამდე.

რადგან მისი ნებით, ნიჭით სამშობლოს ცა  
ამაღლდა,  
საქართველო მომავალშიც ისევ იგლის ამაყალ.  
თუმცა ბევრი იმპერია და ქვეყნები დაიქცა,  
რუსთაველი საქართველოს მომავალშიც დაიცავს.

იდლეგრძელებს მისი ძეგლი მარადიულ ქალაქში  
და ქართულ ლექსს, ენას, სიტყვას წლები  
ვეღარ გადაშლის.

არ ჩაქრება არასოდეს ჩვენი სანთელ-საქმელი,  
უკვდავია საქართველო და რუსთველის სახელი.

2009 წ.  
ხელშემსრულებელი

## პრემია

ნიჭიერს და უნიჭოსაც  
უჯილდოოდ არ ვტოვებთ,  
დიდი გალაკტიონი კი  
უპრემიოდ დავტოვეთ.

ხალხი ბოლოს მაინც მიხვდა  
ვისი ხელიც ერია,  
გალაკტიონს პქონდა თურმე  
ნიჭი – ღმერთის პრემია.

2009 წ.  
08 მაისი

\* \*

ასე იყო, ასე არის,  
 თურმე დროის მტვერი ხდება,  
 დროს, დროს მიაქვს ქვეყნად ბეჭრის  
 სახელი და ხოტბა, ქება.

მაგრამ იმის ლექსს და სახელს  
 უპირატოვების დაღი აღევს.  
 დრო, დრო მატებს გალაკტიონს  
 სიდიდეს და სიდიადეს.

2010 წ.  
 08 ივნი

\* \* \*

როცა ამაოდ ვჯახირობ,  
 ვერაფერს ვწერ და ვიგონებ,  
 თავს ვაფარებ და ვკითხულობ  
 გალაკტიონის სტრიქონებს.

2009 წ.  
 08 მაი

## ვიბრძოლებთ და ვიდავითებთ

თუმცა მრავალმა ქარცეცხლმა და წლებმა  
 გადაგვიარა,  
 უმეფოდ გაძლო სამშობლომ, ურუსთაველოდ  
 ქო — არა.

თუმცა ლამაზი მთა-ბარი ბევრია ივერთ მხარეში,  
მაგრამ სამშობლო ვინა თქვა დიდგორის  
კელის გარეშე.

აღარ ექნება ხომ ფასი არც შეილობას და დედობას,  
თუ დაივიწყებს სამშობლო ქეთევანს –  
დედა-დედოფალს.

ვედარ ვიქნებით ვერასდროს ამაყები და თამამი,  
თუ არ იქნება ხსენება დავითისა და თამარის.

აღარ იქნება მამულში არც რწმენა, არც სამართალი,  
თუ არ იქნება ხსენება დიდი ილია მართალის.

აღარ სჭირდება არავის ყალბი სიტყვა და შექება,  
თუ დავივიწყეთ წარსული, არც მომავალი გვექნება.

ისიც ხომ ცხადზე ცხადია, სადავო სულაც არ არი,  
თუ არ ვახსენებთ წინაპრებს, არც ჩვენ  
გვახსენებს არავინ.

რადგან წინაპართ სახელი გვაერთიანებს, გვამთელებს,  
ისევ იმათი სახელით ვიცოცხლებთ და ვიქართველებთ.

რადგან იმათი სისხლ-გენი მოგვყვება ჩვენ იმთავითვე,  
ისევ იმათი სახელით ვიბრძოლებთ და ვიდავითებთ.

2008 წ.  
086060

\* \* \*

რადგანაც გავჩნდით განგების ნებით  
და ღვთისმშობელსაც ასე ენება,  
არც საქართველოს, არც ქართულ ენას  
არ უწერია გადაშენება.

2010 წ.  
02 ნოემბერი

\* \* \*

ყველას მეფობა ნუ გვინდა,  
არ გავხდეთ მგლების არჩივი,  
არ დავემსგავსოთ ცხვრის ფარას,  
მწყემსის გარეშე დარჩენილს.

2009 წ.  
ნოემბერი

\* \* \*

ვაგლახ, დღეს ბევრი სულელი  
დრო-ჟამბა გაამამაცა,  
სანამდე უნდა ვუსმინოთ  
ამდენ ბრიყვასა და მამაძალლა.

ქართლის ჭირო და ტკივილო,  
არა და ადარ გვირჩები,  
ეძალებიან ქვეყანას  
რეგვენები და გიჟები.

დღეს ბევრი იბრძვის, ჩალიჩობს  
 არა ქვეყნისთვის – თავისთვის  
 და ენატრება სამშობლოს  
 გორგასალი და დავითი.

2009 წ.  
 0850ხ0

\* \* \*

რადგან უფალმა ასე ისურვა,  
 ერმა და ბერმა ასე ინება,  
 დიდგორის ველზე დაღვრილი სისხლი  
 სამშობლოს ძარღვში მიედინება.

მაგრამ ქვეყანას დღეს რას მოუტანს  
 შერი, ქიშპობა, მტრობა, აკლება.  
 დღეს ერთმანეთის დაღვრილი სისხლი  
 ქართველ ხალხსა და მიწას აკლდება.

1992 წ.

\* \* \*

როგორ გინდა არ შეხედო,  
 როგორ გინდა გადაურჩე  
 ყაჩადებით სავსე ქალაქს,  
 მათხოვრებით სავსე ქუჩებს.

1992 წ.

\* \* \*

ხომ იდგა საქართველოში  
კაენ-იუდას ცოდვა,  
ბევრი ხომ ვერცხლზე ფიქრობდა,  
საქართველოზე – ცოტა.

ვაგლაბ, რომ დღესაც რამდენი  
ქვეყნის წინაშე სცოდავს,  
ბევრი ფულისთვის იბრძვის და  
საქართველოსთვის – ცოტა.

2007 წ.  
მაისი

## „დიდი კაცი“

– „დიდი კაცია“, – ვამბობთ და ვუმზერთ  
სურათებს, ძეგლებს კრძალვით და რიდით,  
მაგრამ უმალვე გვიჩნდება კითხვა:  
რატომ და რისთვის, რით არის დიდი...

ის, ვინც აღმერთებს ომებს და სიკვდილს,  
იმონებს ხალხებს და თავზე აზის,  
რატომ არიან ნეტავი დიდი  
ის ჩინგის ხანი ან შაჰ-აბასი.

იგი, ვინც ანგრევს ქალაქებს, ხოფლებს  
და თვრება ხალხის ცრემლით და სისხლით,  
რატომ ვუწოდოთ ისეთ კაცს „დიდი“,  
რისთვის და რატომ, რატომ და რისთვის.

ის, ვინც ამბიმებს, აბრუებს მიწას  
 მიღიონების სისხლით და ძვლებით,  
 რატომ არიან ნეტავი „დიდი“  
 ადოლფ ჰიტლერი და კიდევ სხვები...

რატომ ვუწოდოთ ისეთ კაცს „დიდი“,  
 ვინც თავის ჭკუით, ვინც თავის სიბრძნით  
 მხოლოდ საკუთარ სახელისათვის,  
 დიდებისათვის ცოცხლობს და იბრძვის.

ვინც აღარ არის სიკეთ-სიმართლის  
 თანამდგომი და თანამზრახველი,  
 ყველა ეშმაკის მოციქულია  
 და სატანაა მათი სახელი.

მაგრამ ისინი, ის დვთისშვილები  
 (არა ტახტის და სკამის მონები),  
 ვინც ყველა ქვეყნის, ყველა ერისთვის  
 შრომობს და იღვწის ჭკუით, გონებით,

დიდია ის, ვინც აღამიანებს  
 სიბრძეები და შიშში არ ტოვებს,  
 ფიქრობს და ეძებს, ეძებს და ფიქრობს  
 და საიდუმლო ახსნა ატომის.

ვინც დაუტოვა კაცობრიობას  
 ის „დვთაებრივი კომედია“ და  
 იგი, ვინც წერდა „ვეფხისტყაოსანს“,  
 წერდა „ოტელოს“ და „ილიადას“,

იგი, ვინც უკვდავ პანგებს, სიმღერებს  
 ღმერთის კარნახით წერდა და ქმნიდა,

ის, ვინც ხატავდა ან საჭრეთელით  
ძერწავდა ძეგლებს უბრალო ქვიდან,

სწორედ ისინი, ის ღვთისშვილები  
ქვეყნად მოდიან და არ მიდიან,  
მათი საქმე და სახელი მათი  
უკვდავია და მართლაც დიდია.

2009 წ.  
აბგისტო

## ყველა ჯილდო და ტიტული

ყველა ჯილდო და ტიტული  
თურმე წყალია, ბატონო,  
თუ ქაცს თავისი ხალხი და  
სამშობლო აღარ ჰპატრონობს.

ხომ კარგად ვნახეთ სასჯელი  
ერის ურგების, ურჩების,  
ის დანგრეული ძეგლები,  
სახელშეცვლილი ქუჩები.

ბევრის სახელი და გვარი  
სამშობლოს ვერ ჩაეკონა,  
წლებმა და მიწამ შეჭამა,  
ჩვენ რომ უკვდავი გვეგონა.

2009 წ.  
აბგისტო

## თუკი დადგება ჩვენში დრო-ჟამი

თუკი დადგება ჩვენში დრო-ჟამი  
 მტყუან-მართალის საქმის გარჩევის,  
 ბევრ „გამოჩენილს“ საქართველოში  
 არა აქვს თავი გამოსაჩენი.

ბევრი იუდას გვარი, სახელი  
 დიდი ხანია ჩასაქოლია,  
 თუმც მოღალატეს თავისი თავი  
 „გამოჩენილი“ ქაცი პგონია.

როცა ბრიყვებიც საქმეს საქვეყნოს  
 თავის ჭკუით და წესით წონიან,  
 დღესაც ბევრ სულელს თავისი თავი  
 „გამოჩენილი“ ქაცი პგონია.

2009 წ.  
 სემთხვევი

\* \* \*

გვიჯირს ქართველებს ცხოვრება  
 თურმე კერპების გარეშე  
 და არის ერთიმეორის  
 მტრობა, შეუღლი და თარეში.

ეს ყველაფერი ჩვენს თავზე  
 სისხლის წვიმებად გროვდება,  
 ვიცით კერპების მსხვრევა და  
 მერე მოთქმა და გოდება.

2010 წ.  
 გართი

## მომრავლდა საქართველოში

მომრავლდა საქართველოში,  
 ვინც სახეს ნიღაბს აფარებს,  
 სულით და გულით უცხოა,  
 თუმცა ქართულ გვარს ატარებს.

სინამდვილეში კაცია  
 გველაძეა და უნდობი,  
 თავის სამშობლოს ძირს უთხრის  
 ქლესით და მელაპუდობით.

2010 წ.  
 გაიხო

\* \* \*

მუდამ ბევრი მტერი პყავდა  
 მართალ სიტყვას და სიკეთეს.  
 ასე იყო თურმე ოდით,  
 ასე მოდის თურმე დღემდე.

დღესაც ბევრი პატრონი პყავს,  
 მცარველი და მოიმედე,  
 სიცრუეს და სიბოროტეს,  
 სიბრიყეეს და სითავხედეს.

2010 წ.  
 0360ი

## მესკამეები

ყველა დროსა და ხანაში  
სკამ-სავარძლების ბუმია,  
რისი ხალხი და სამშობლო,  
კარგი ცხოვრება სწყურიათ.

ისე კი, ვითომ ქვეყნისთვის,  
ვითომ ხალხისთვის იღვწიან  
და თუ დასჭირდათ, სამშობლოს,  
გვარს და რწმენასაც იცვლიან.

დღესაც რამდენი მესკამე  
ვნახეთ და მერე რაგვარი...  
რისი ხალხი და სამშობლო,  
სკამი ყოფილა მთავარი.

2009 წ.  
სესტემბერი

\* \* \*

რისი ხალხი და ქვეყანა,  
ჯერ საკუთარ თავზე ფიქრი.  
ვაგლახ, ვეღარ ვიხედებით  
საკუთარი კუჭის იქით.

რისი მტერი და რა მტერი,  
ჩვენი მიწა, მთა და ველი  
იგლიჯება, იწეწება  
ისევ ქართველების ხელით.

2010 წ.  
03 ნოემბერი

# სულის გამყიდველები

„ინტერნეტში გამოჩნდა განცხადებები სულის შესყიდვის შესახებ, ადამიანებს სულის გაყიდვას სთავაზობენ და ამ თითქოს აბსტრაქციულ წინადადებაში სავსებით რეალურ 1000 დოლარს იხდიან“.

მაზეთი „პირის პალიტება“,  
 20-28 ივნისი, 2009 წ.

იმ ოცდაათი ვერცხლით იწყება,  
 იმ ოცდაათი ვერცხლით გაღვივდა,  
 სულის გაყიდვა მოდის იქნდან,  
 როცა იუდამ ქრისტე გაყიდა.

ღალატისა და ვერცხლის სურვილი  
 ჩვენშიც ხანდახან ისე დიდია,  
 სულგაყიდულებს ბევრი ქართველი  
 გოგო-ბიჭებიც გაუყიდიათ.

ვაგლახ, იმ უამმა, დრომ უკუღმართმა  
 სამშობლო ბევრჯერ გააღარიბა.  
 ის გაყიდული ჩვენი ბიჭები  
 სხვაგან ჯდებოდნენ სულთან-ხალიფად.

საქართველო კი ისევ ნატრობდა  
 (როცა ბავშვები კევრით გათელეს)  
 სინჯიკაშვილებს, ბოჩოლაშვილებს,  
 მამელუქებად ქცეულ ქართველებს.

არ მოგვყლებია, არა და არა,  
 ის უბედობა, ის მძიმე ხანა.

ჯერ სულსა ყიდდნენ და მერე უკვე –  
თავის ხალხსა და თავის ქვეყანას.

არ უყურებდნენ დაქცეულ მამულს,  
არც წუხილით და არც დანანებით,  
ოცდაათ ვერცხლად გაყიდულები  
ბაღვაშები და შადიმანები.

„  
მაგრამ ნამდვილი ქართველისათვის  
სამშობლო იყო მუდამ მთავარი,  
სული გორგასლის, სული დავითის,  
ქეთევანის და სული თამარის.

დღესაც სამშობლოს უდგას დარაჯად  
მარად უკვდავი სული სამასი,  
სული მერჩულებს, სული რუსთველის,  
ილიასი და სულხან-საბასი.

სული პაატას, სული თევდორებს,  
ზვიადისა და სული მერაბის.  
მათი სულია ქვეყნის სიმაგრე  
და საქართველოს რკინის პერანგი.

მაგრამ დღესაც ბევრს თვალებს უბნელებს  
ვერცხლი – იუდას ჯილდო-ტიტული.  
აგერ ახლახან თეთრი ტაიჭით  
კოჯორთან იდგა სულგაყიდული.

აგერ, ახლახან...  
სულგაყიდულთა  
მოედნები და ძეგლები იყო.  
მათი გვარი და სახელი მათი  
მოვიდა დრო და წლებმა წაიღო.

მაგრამ ის ვერცხლი ისევ ჩერიალებს  
და გვახვევია მტერი გარს კიდევ-  
დღესაც ბევრს ნახავთ საქართველოში  
იუდასა და ქვეყნის გამყიდველს.

გამყიდველები მიდი-მოდიან  
მაგრამ სამშობლო არსად არ მიდის  
და მწამს, დევთისმშობლის წილნაყარ მიწას  
ქვეყნად ვერავინ ვედარ გაყიდის.

2009 წ.  
08 მაისი

\* \* \*

კვლავ ერთმანეთის მტრობა და  
ქვეყნის და ერის დალატი,  
იუდას ვერცხლის ჩერიალი  
და მოღალატის ხალათი.

ისევ სამშობლოს მტრების წინ  
მუხლზე დგომა და ფიცილი.  
სანამ ვანგრიოთ ქვეყანა  
ღიმილითა და სიცილით.

არ ცხრება საქართველოში  
ბაღვაშ-შადიშანთ ამქარი,  
სანამდე იყოს სამშობლო  
ციხე, შიგნიდან გამტყდარი.

2010 წ.  
გართი

## რამ შეგაყვარათ სამშობლოს მტრები

ასეთი ბედი ვინ დაგიბედათ,  
მე ეს მაოცებს და ვერა ვხვდები.  
საქართველო რომ არ გიყვართ, ვხედავ,  
რამ შეგაყვარათ სამშობლოს მტრები.

ამით სამშობლო ხვალ რას მოიგებს,  
მე ეს მაშინებს, მე ეს მაკვირვებს.  
იუდამ მაშინ თავი მოიკლა,  
თქვენ საქართველოს მოქვლას აპირებთ.

ეს უბედობა ვინ დაგიბედათ,  
ვერ გამიგია და ვერა ვხვდები.  
საქართველო რომ არ გიყვართ, ვხედავ,  
რამ შეგაყვარათ სამშობლოს მტრები.

2010 წ.  
დეკემბერი

\* \* \*

ისეთი ბაქიბუქია,  
ვეღარ ვაკეთებ არჩევანს,  
გაჭირდა საქართველოში  
გმირის და ლაჩირის გარჩევა.

ცხოვრება ხდება თანდათან  
უნდობი და ეჭვიანი,  
ამიტომ გვიჭირს გარჩევა  
სულელისა და ჭკვიანის.

ամջենօ յշեաթպուօլա,  
ածա, ռա մռեավոնօա,  
պըսլաս մըցոնա ռոմ շնդա  
դա տաշո ծրմջենօ ձջոնօա.

արց յըսյանաս դա աղարց եալքս  
նամժզոլագ օղար եչորդյօնա,  
սամթոծլոնս եոյցարշլութզուս  
զոնց օտեռց ծաեթս դա դուժյենաս.

2010 թ.  
ՃԱԺՈՂՈՅ

\* \* \*

Եշլ՛մի զայշորտեյծ պըսլա օմ յարտզյելս,  
զոնց յեշտյօնա մթրուս յարոյարագ.  
զոնց ցրո՛մագ յուցուս սամթոծլոնս սաեցլս,  
սոյցլուս ցաշրծուս դա սորցեցուս – արա.

Ցյ զենացոալյ պըսլա օմ յարտզյելս,  
զոնց սայարտզյելուս շըցյօնա ցարագ,  
զոնց յինորյօնա սամթոծլոնս սաեցլս,  
սորցեցուս ցաշրծուս դա սոյցլուս – արա.

2010 թ.  
ՇԱՀՑԱՐՈՅ

\* \* \*

როცა დროა ბოლმიანი  
და სამშობლოს დალატია,  
ცბიერების დოდი არი,  
თაღლითების პარადია.

შენ რომ სანდოდ გეჩვენება  
იქაც შური, დალატია.  
ვაგლახ! ჯილდოდ ერთგულების  
თურმე გიჟის ხალათია.

1992 წ.

\* \* \*

ჩვენ ერთმანეთის შურ-მტრობამ  
ბევრჯერ გვიტირა ყოფა.  
საფლავში წოლა სჯობია  
უსამშობლოოდ ყოფნას.

კარგად გვანახვა ცხოვრებამ,  
კარგად გვანახვა დრომაც,  
ზოგჯერ სიკვდილი სჯობია  
მტრის მაგიდასთან ჯდომას.

აღარ გვჭირდება სხვა სიტყვა,  
მატიანეა მოწმე,  
ვაჟპაცი მტერი სჯობია  
ქვეყნის გამყიდველ მოძმეს.

2010 წ.  
ივანე მარტივი

## როცა სამშობლოს უჭირს ძალიან

როცა სამშობლოს უჭირს ძალიან,  
გამოსაჩენი არა გვაქვს პირი,  
ვამბობთ, – დროის და წლების ბრალია  
ქვეყნის ტკიფილი და გასაჭირო.

რა შეაშია აქ დრო და წლები,  
ისევ ქართველებს მიგვიძლვის ბრალი,  
როდესაც ვხდებით იუდას კერძი  
და სავარძლისკენ გვიჭირავს თვალი.

როცა სამშობლოს სვე-ბედზე უფრო  
საკუთარ თავზე და კუჭზე ვფიქრობთ,  
როს ერთმანეთის შერით და მტრობით  
ქვეყნის სიუგარულს თვითონვე ვიქრობთ.

თუ ქვეყნისა და ერის წინაშე  
ვერ მოვიხიდეთ სამშობლოს ვალი,  
დროს და ცხოვრებას ნუ დავაბრალებთ,  
იქნება ისევ ჩვენივე ბრალი.

2010 წ.  
02 ნოემბერი

## „ცნობადი სახე“

ადარ სცილდება ეკრანს და პრესას  
ბეჭრი მოლაყბის „ცნობადი სახე“.  
მაგრამ იმასაც ხომ კარგად ვხედავთ,  
ჩანს მათი სახე და არა საქმე.

ბევრი თავისთვის ჩაღიჩობს, იბრძვის  
და არ იშურებს სიტყვას და სათქმელს,  
მაგრამ ქვეყანა ხომ კარგად ხედავს,  
ჩანს მხოლოდ სახე და არა საქმე.

2010 წ.  
თბილისის უნივერსიტეტი

## წყალი და ქვიშა

„წყალი წაგლენ და წამოგლენ,  
ქვიშანი დარჩებიანო“.

ხალხური

არა ქართული სიტყვის წინაშე,  
ვინც ჩოქვით იდგა ბატონის კართან,  
პქონდათ პრემია, ჯილდო, ტიტული  
და ყველაფერი ლექსების გარდა.  
მაინც იმათი სიცოცხლე ქვეყნად  
ქვიშას კი არა, თურმე წყალს პგავდა.

მაგრამ ისინი, ის დვთის შვილები  
დრომ და საწუთრომ წაიღო განა.  
ვინც აღმერთებდა ლექსს და სამშობლოს,  
თავის ენას და თავის ქვეყანას,  
დღეს მათი გვარი, სახელი მათი  
საქართველოში ძეგლებად დგანან.

2009 წ.  
ნოვებერი

\* \* \*

კი, შეცდომებიც კი იყო,  
ისევ დრო-უამმა გვანახვა,  
მაგრამ კარგიც ხომ გაკეთდა,  
უნდა ამასაც დანახვა.

ვატყობ, სკამ-ფულის სურვილმა  
დღეს ბევრი ისე არია,  
თვალების დათხრა არ უნდა,  
ისედაც ბრძები არიან.

2009 წ.  
03 ლისი

\* \* \*

ბევრ ნაცნობსა და მეგობარს  
ვუყურებ და ვერ მიცვნია,  
თავის აზრსა და სალოცავს  
წარამარა რომ იცვლიან.

კარგად გამოჩნდა დღეს ბევრის  
სახე და არაკაცობა,  
უნდა დავიწყო თავიდან  
ბევრი ნაცნობის გაცნობა.

2010 წ.  
აპრილი

\* \* \*

დღეს რაც არის, კი ვხედავ,  
 ჭირი თავს არ მალავს,  
 მივეჩვივ „მეგობართ“  
 ორგულობას, დალატს.

ყალბი დიმილ-სიცილი  
 სიმართლეს ვერ ფარავს.  
 ნაცხობები ბევრი მყავს,  
 მეგობრები – არა.

2010 წ.  
 გამტი

\* \* \*

ვერ მივემატე მლიქვნელთა  
 და მეხოტბეთა ამალას,  
 ვინც მიყვარს, ვამბობ აშკარად,  
 ვინს მძულს, იმასაც არ ვმალავ.

არ მწამს იმათი, ყველას და  
 ყველაფერს რომ უმდერიან.  
 ვინც მიყვარს, ქვეყნის შვილია,  
 ვინც მძულს, სამშობლოს მტერია.

1992 წ.

## არ მივლია ქვეყნის გზებზე

არ მივლია ქვეყნის გზებზე არც მგზავრად და  
არც ტურისტად,  
შერჩა ქართულ ცას და მიწას ჩემი ფიქრი და გულისხმა.

არ მინახავს პანთეონი არც ლონდონის, არც პარიზის,  
მაგრამ მჯერა, არ იქნება მთაწმინდაზე უფრო დიდი.

არ მინახავს ბულონის ტყეც (თუმც ბულბულის  
ხმები მესმის),  
არც ბულონის ტყე იქნება ბორჯომ-პარკზე უკეთესი.

არ მინახავს ეიფელიც, თუმცა მისი ქება მესმის,  
ეიფელიც არ იქნება მყინვარწვერზე უკეთესი.

არ მინახავს, მაგრამ ვიცი და დასტურიც აღარ მინდა,  
ვარძიაზე უკეთესი ვერ იქნება პირამიდაც.

არ ვყოფილვარ, არ მინახავს და არ ვამბობ შერით,  
გესლით,  
არც პარიზი არ იქნება ჩემს თბილისზე უკეთესი.

რა ვქნა, ვეღარ ვიტრაბახებ მგზავრობით და  
სხვაგან ყოფნით,  
საქებად და სალოცავად ჩემი საქართველოც  
მყოფნის.

თუმც ბევრი ცის, ბევრი მიწის დიდება და ქება  
მესმის,  
თვით სამოთხეც არ იქნება სამშობლოზე უკეთესი.

## გართობა

„ხომ უნდა შევიქციოთ თავი რაიმეთი“.  
მშერან ბაჲბაბიანი

რადგან გავჩნდით და მოვედით ისე, რომ  
არვის უკითხავს,  
უნდა გავერთოთ კიდვეაც, ამქვეყნად ყოფნა თუ  
გვინდა.

ზოგს გააქვს წუთისოფელი ხან ჭამით, ხან სმით,  
ხან თრობით,  
ზოგიც ერთობა ამქვეყნად ხან სიყვარულით,  
ხან მტრობით.

ზოგი ხატავს და ზოგი წერს, ზოგიც  
საჭრეთელს ენდობა,  
ზოგი ტახტით და სავარძლით და ზოგიც  
ფულით ერთობა.

ზოგი იუდას ვერცხლით და ზოგი სამშობლოს  
დალატით,  
ზოგი ბრძენკაცის ნიდაბით და ზოგი გიუის ხალათით.

რადგან ყველას და ყველაფერს ბოლოს  
დრო-ჟამი გადაშლის,  
ზოგი ომებით ერთობა და ზოგი ცეკვა-თამაშით.

სანამდე მიწის შვილია, უცნობია თუ ცნობილი,  
ყველა რაღაცით ერთობა, ყველა რაღაცას  
ცოდვილობს.

რადგან საწუთო ორგანიზაცია და ბოლოს ყველას

იმეტებს,  
დარჩენილია მარტოდენ დმგროვის და ხალხის იმედი.

2009 წ.  
08 ივნისი

## კაფიობა მთაში

ვისმენ მთიელთა კაფიას  
და გული ლხენით მევსება,  
მე გამაოცეს წამისწამ  
დაბადებულმა ლექსებმა.

იქ ვინმე სიტყვას ან სათქმელს  
განა ეძებს და იგონებს,  
მთას შეხედავს და უმაღვე  
ბაგეს მოწყდება სტრიქონი.

ცას შეხედავს და უეცრად  
სული ცისაკენ იწევა,  
ჩანჩქერები და ცის ნამი  
სიტყვა-რითმებად იქცევა.

იქ ყელა ქართულ ენას და  
სამშობლოს ეალერსება,  
და მთების ია-ვარდები  
მოედინება ლექსებად.

როცა შაირი იწყება,  
იღება ლექსის კარგბიც  
და მათი საწერ-კალამი  
ხდება ფანდურის ლარები.

თუმც მეც რაღაცას ვცოდვილობ  
და საქმეც ლექსებს ეხება,  
მათი შაირის შემყურებს,  
ხმა როგორ ამომედება.

2009 წ.  
აბგისტო

## ქართველ მორაგბეებს

ქართველის ძალგულოვნება  
მწვანე მინდორზეც გამოჩნდა.  
ეს იყო ლელო კი არა,  
ქართული სულის გამოცდა.

გიყურებდით და ეს გული  
საგულეს ვეღარ დგებოდა,  
თქვენი დადვრილი სისხლით კი  
სხვა სისხლი მაგონდებოდა.

ასე მეგონა, კრწანისში  
300 არაგველს შველოდით  
და გამარჯვებას, ბიჭებო,  
გულის ფანცქალით ვეღოდით.

ის გამარჯვება, იცოდეთ,  
ბევრ დარდს და ტკივილს აქარვებს,  
ქართველი კაცის სულს და გულს  
ადიდგორებს და ახარებს.

ის განა მარტო რაგბია,  
ის განა მარტო ლელოა,

გამარჯვებული ქართველი  
ამაყი საქართველოა.

2010 წ.  
გარეთი

## დიალოგი სულთან

თურმე სიცოცხლე ამ ქვეყანაზე  
შენით იწყება, შენით თავდება.  
ვატყობ, ვიქცევი ამაოებად,  
არ დამიდგები თუკი თავდებად.

არის ძილი და არის სიზმარი  
კაცის სიცოცხლე თურმე უშენოდ  
და ჩემს წუხილს და გულისტკივილსაც,  
სულო, ისევ შენ უნდა უშველო.

რაში მჭირდება ისე სიცოცხლე,  
თუნდაც ავსილი ნაღიმ-ლხინითა,  
ჩემი სამშობლოს მაღლს და სიკეთეს  
თუკი ჩემს გულთან აღარ მიიტან.

რაში მჭირდება შენი სიცოცხლე,  
შენი უაზრო უივილ-ხივილი,  
თუკი ჩემს გულსაც არ აატირებ  
ჩემი ქვეყნის და ხალხის ტკივილით.

რაში მჭირდება შენი სიცოცხლე  
ანდა ამაო ჭექა-ჭუხილიც,  
თუკი ჩემს გულსაც არ ააპვნესებ  
სხვათა დარდით და სხვათა წუხილით.

თუ არ იქნები ბჭე და მსაჯული  
ძველის გამცემის, ღიზლის, თავხედის.  
თუ არ დახვდები სტუმარს მასპინძლად  
და მტერს თუ მტრულად აღარ დახვდები.

თუ ქართულ მიწას, ენას და სიტყვას  
ვერ მოუვლი და ვერ უპატრონებ,  
რაში მჭირდება შენი სიცოცხლე,  
წადი, სიკვდილთან მარტო დამტოვე.

2009 წ.  
აბგისათო

## განა სიკვდილი მაშინებს

განა სიკვდილი მაშინებს,  
მე სხვას ვწუხვარ და ვდარდობ,  
რომ ვედარ ვნახავ ჩემს ჯუმითს,  
დიდგორის ველს და მარტყოფს.

რომ ვერ მოვისმენ „ლილეოს“,  
„ჩაკრულოსა“ და „ჩელას“,  
ჩემს ტაოსა და ჩემს კლარჯეთს  
ვერ დაუუდგები მცველად.

რომ ვედარ ვნახავ სამებას,  
ვერც ვარძიას და მცხეთას,  
ვედარ შევხედავ მთაწმინდას  
და ვედარც ქართვლის დედას.

შენ, ჩემო ენავ ქართულო,  
 ჩემო ხატო და განძო,  
 შენს უნახავად საფლავში  
 სანამდე უნდა გავძლო.

მე ეს ფიქრები მაწვალებს,  
 მე ეს ფიქრები მტკიცა,  
 თორებ სიკვდილი რა არის,  
 ბოლოს ყველა იქ მიგალთ.

2009 წ.  
 რძაბერი

## მეც „ადამიანს დავეძებ“

თუმც წლები მიღი-მოდიან  
 ისევ დიდია ცოტნება.  
 აღარ იცვლება ადვილად  
 ადამიანის ბუნება.

მეც მინდა ახლა ხატის წინ  
 თხოვნა-ვედრებით დავეცე...  
 მეც სანთლით ხელში დავდივარ  
 და „ადამიანს დავეძებ“.

2009 წ.  
 რძაბერი

\* \* \*

ძველ ნაცნობს რომ ვეღარა ვცნობ,  
 ვღონდები და გული მწყდება,  
 ვხედავ, ბევრი მავიწყდება,  
 ვხედავ, ბევრსაც ვავიწყდები...  
 რა ყოფილა ეს ცხოვრება,  
 რა ყოფილა თურმე წლები.

2009 წ.

\* \* \*

ოცნების წლები, ვატყობ, შორს დარჩა,  
 პასუხი მაინც არა და არ ჩანს.

ყველაზე მძიმე ტვირთია ფიქრი –  
 რა, რა იქნება სიცოცხლის იქით.

2009 წ.  
 08 მაისი

\* \* \*

„გრძნობა ბავშვია“.  
 შესხვითი

„გრძნობა ბავშვია“, – ბრძანა პოეტმა,  
 რადგან მის გულმა ასე ინება.  
 მაგრამ ვაი, რომ წლები სიცოცხლის  
 ისევ უღმერთოდ მიედინება.

„გრძნობა ბავშვია“, – ბრძანა პოეტმა  
და ამ ოცნებას ზოგჯერ ვიჯერებ...  
მაგრამ სანამდე ვიტყუო თავი,  
სიბერე მაინც არის სიბერე.

2009 წ.  
ხელშეკრულება

\* \* \*

„საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი“.  
ნ. ბარათაშვილი

დამიმარტოვეს ფიქრებმა  
და მწარე აზრი არ მტოვებს,  
ცოცხალს არა მყავს პატრონი,  
აბა, მკვდარს ვინ მიპატრონებს.

მარტოსული და ეული  
ბოლოს იქამდე მივედი,  
ბედისგან მიტოვებული  
ვრჩები სიკვდილის იმედით.

მაგრამ იმასაც კარგად ვგრძნობ,  
სსნას არც სიკვდილში არ ველი.  
ახლა გავიგე ტკივილი  
ეულ ტერენტი გრანელის.

და უპატრონო პოეტებს  
თვალცრემლიანი ვიგონებ,

ახლა გავუგე სათქმელი  
ბარათაშვილის სტრიქონებს.

არამიწიერ ოცნებას,  
როდესაც ეერა ხვდებიან,  
სულით ობლობა ამ ქვეყნად  
ბევრი პოეტის ხვედრია.

2010 წ.  
აბგისათო

\* \* \*

ოოცა ვერ ვუძღებო ამქვეყნად  
უაზრო ყოფნა-ხეტიალს,  
სიცოცხლეცა და სიკვდილიც –  
ორივე ჩვენი ხვედრია.

მუხთალი წუთისოფელი  
სიცოცხლეს რომ გაიმეტებს,  
ამქვეყნად რჩება მარტოდენ  
თურმე სიკვდილის იმედი.

2009 წ.  
აბგისათო

\* \* \*

რადგან არა და აღარ თავდება  
უაზრო ყოფნა და ძილ-დვიძილი,  
რადგან სიცოცხლე მიდის ამაოდ,  
ხომ არ დავასწრო სიკვდილს სიკვდილით.

სიკვდილის მერეც ვიცი რა მელის,  
არც იქ მექნება თავშესაფარი,  
უპატრონო და მიტოვებული,  
ბალახს შერჩება ჩემი საფლავი.

2009 წ.  
ნოემბერი

\* \* \*

როდესაც პოეტს გულის ხმა ესმის,  
მაშინ აქვს ფასი ცდასა და ლოდინს.  
რადგან სტრიქონი და ნაღდი ლექსი  
იბადება და გულიდან მოდის.

ზოგჯერ მთა მთასაც შეხვდება თუკი,  
ალბათ ბუნების ნებაა ესეც...  
მაგრამ სიცოცხლე ძალიან უჭირთ  
საკეისროთი გაჩენილ ლექსებს.

პოეტს კი როცა გულის ხმა ესმის,  
მაშინ აქვს ფასი ცდასა და ლოდინს.  
ნაღდი სტრიქონი და ნაღდი ლექსი  
იბადება და გულიდან მოდის.

2006 წ.  
03ნოემბერი

## დრომ წარიტაცა, წაიღო

დრომ წარიტაცა, წაიღო  
 ბევრის ხოტბა და ქება.  
 სხვა არაფერი, ბატონო,  
 დღესაც იგივე ხდება.  
 ყალბი სახელი, დიდება  
 ისევ ნელ-ნელა ქრება...  
 რა კარგად უთქვამს, ვინცა თქვა,  
 იმედი ბოლოს კვდება.

2009 წ.  
02 ნოემბერი

## ლადო

„რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი  
 ნუ მომიშალოს დმერთმა“.

ლადო ასათიანი

რუსთაველზე მიდის ლადო,  
 ქართული ლექსის ჯადო.  
 გული სამშობლოს მისცა,  
 სული ლექსებში ჩადო.

რუსთაველზე მოდის ლადო,  
 სიცოცხლე რაკი ანდო:  
 ისევ ლექსებზე ფიქრობს,  
 ისევ მამულზე დარდობს.

რუსთაველზე დადის ლადო...

2006 წ.  
სექტემბერი

\* \* \*

არის თურმე ბედისწერა  
 ლექსზე ფიქრი, ლექსის წერა.  
 გოლგოთის გზა ელის თურმე  
 ნამდვილ პოეტს, ნამდვილ მწერალს.

2008 წ.  
 ღვევებისთვის

## წარწერა გული სალუქვაძის წიგნზე

სამშობლომ გაგადიდგულა,  
 ლექსებმა გაგაგულისა,  
 სიტყვებს დაეძებ გულდაგულ  
 და ლექსებს გვიწერ გულითადს.  
 მართლაც, გულწრფელი გული ხარ  
 და წვენც გვიყვარხარ გულითა.

2007 წ.  
 0360ხ0

\* \* \*

სანამდე ცოცხლობ, თუ გაუძელი  
 ქვეყნის სიავეს და სიბოროტეს,  
 აღარ გერქმევა დარიბი, თუკი  
 სინდის-ნამუსი შეგრჩა ბოლომდე.

სხვა საგანძურო ან სხვა სიმდიდრე  
სულს პოეტისას, აბა, ვინ მისცა...  
სიკვდილის შემდეგ თუ დაგეყრება  
გულზე სამშობლოს მსუბუქი მოწა.

2009 წ.  
08 მაისი

\* \* \*

ამაო არის ყოველი  
თხოვნა, სურვილი, ვედრება,  
ფასი კაი ყმის სიცოცხლეს  
ლამაზ სიკვდილით ედება.

2008 წ.  
01 ნოემბერი

\* \* \*

ვატყობ, ხარობს სულიც, გულიც  
და სიცოცხლე მენაღდება,  
სანამ ვფიქრობ სამშობლოზე  
და ლექსები მენატრება.

2010 წ.  
ოქტომბერი

\* \* \*

რაა საწუთრო, თუ ვერ შევძელი  
ჩემი სამშობლოს ხოტბა, შექება,  
ქართული სიტყვის, ლექსის გარეშე  
სიცოცხლეს რადა ფასი ექნება.

მაგრამ გასულა ლამაზი წლები  
და იმედებმა გამინაპირეს,  
მიმზერს შორიდან ოცნების ლექსი,  
მაგრამ მოსვლას კი აღარ აპირებს.

2009 წ.  
03 მაისი

\* \* \*

როცა ცხოვრება ირევა,  
არეულია ფიქრებიც.  
რისთვის ან რატომ მოვედი,  
ვინა ვარ ან რა ვიქნები.

რადგან არავის უკითხავს  
ქვეყნად მოსვლა და გაჩენა...  
წამება არის ხანდახან  
საკუთარ ფიქრთან დარჩენა.

2010 წ.  
05 მაისი

\* \* \*

ვატყობ, დღეები იქცნენ წამებად,  
რაც დამრჩენია, თითებზე ვითვლი.  
თურმე ცხოვრება არის წამება,  
როცა სიცოცხლე უაზროდ მიდის.

2010 წ.  
ივანეგალი

\* \* \*

რადგან არ არის ადვილი,  
სიმართლე ითქვას ბოლომდე,  
ისევ უფალი გაარჩევს  
სიკეთეს და სიბოროტეს.

არაფერს ნიშნავს ამქვეყნად,  
სიკვდილი და დამიწება.  
ბევრის ტანჯვა და წამება  
სიკვდილის შემდეგ იწყება.

2010 წ.  
იანგარი

## არის დიდი გამოცდა

უნდა შეძლო დალატის,  
ბოროტების ატანაც,  
რადგან არის ამქვეყნად  
ეშმაკიც და სატანაც.

არის ბევრი ავტორი,  
სხვა რწმენის და სხვა რჯულის,  
მაგრამ ბოლოს ღმერთია  
მაინც ყველას მსაჯული.

არის დიდი გამოცდა  
მისვლა კუბოს კარამდე...  
აქ ცხოვრება – წამია,  
იქ ცხოვრება – მარადი.

2009 წ.  
08 ივნი

\* \* \*

ჩვენი აქ ყოფნის მიზანი  
სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა,  
მიწაზე ყოფნით, ეტყობა,  
ცაში ვაბარებოთ გამოცდას.

2009 წ.  
აპრილი

\* \* \*

აბა, რაღა შეცვლის ადამიანს,  
არ გვინდა თავის მტკრევა,  
ღღესაც ყველა კაცი – ადამია  
და ყველა ქალი – ევა.

2009 წ.  
აგვისტო

\* \* \*

რადგან ცოტაა ამქვეყნად  
კაცი სათნო და საუფლო,  
ცოცხლებზე გულგატებილი  
სიზმარში მკვდრებთან ესაუბრობ.

2008 წ.  
თებერვალი

\* \* \*

უნდა ვიჩქარო, უნდა ვთქვა  
ჩემი სიტყვა და სათქმელი,  
რადგანაც მრჩება დღეები  
თითქბზე ჩამოსათვლელი.

ვაგლახ! დრო-ჟამმა წაიღო  
ბევრი, რაც ვინატრ-ვისურვე,  
უნდა ვიჩქარო, სიცოცხლე  
უკვე წყიპზეა მისული.

2009 წ.  
ივნისი

\* \* \*

მართალი კაცის წინაშე  
ვაი, რომ ბევრი სცოდავს,  
მაგინებელი ბევრი პყავს,  
დამფასებელი – ცოტა.

ცოცხალს ვლანძღვოთ და ვაგინებთ,  
 ასე მოვედით დღემდე...  
 ფასი ედება ჩვენში კაცს  
 თურმე სიკვდილის შემდეგ.

2010 წ.  
 ივანე მარაშვილი

\* \* \*

რადგანაც გავჩნდით ამ ქვეყანაზე,  
 მოსვლა არ ნიშნავს მხოლოდ წვალებას,  
 კი, ვიცით, რაა ქვეყნად სიკვდილი,  
 მაგრამ ხომ არის გარდაცვალებაც.

2010 წ.  
 იანე არაშვილი

## უპირველესი ჩვენი მტერია

კრწანისის ომში მეცე ერეკლეს  
 რატომ ვატკინეთ გული დალატით,  
 საქართველოში ყაზბეგს და გრანელს  
 რატომ ჩავაცვით გიჟის ხალათი.

რად ვერ ვისმინეთ, რად ვერ გაგიგეთ  
 ბარათაშვილის სულის ძახილი  
 ან ბრძოლის ველზე ვახტანგ გორგასალს  
 რატომ ჩავეცით ზურგში მახვილი.

ჩემო სამშობლოვ და ჩემო ხალხო,  
 ხომ სირცხვილი და ხომ ტკივილია,

გალაკტიონშა მოიკლა თავი,  
 თვითონ ვესროლეთ ტყვია ილიას.

რატომ არ ვიცით ხანდახან ფასი  
 ხალხის და ქვეყნის ერთგული შეილის.  
 რატომ დავტოვეთ უსაფლავებოდ  
 ტიციანი და ჯავახიშვილი.

ვერ გამიგია, ვერა და ვერა,  
 რად ვერ მიგხვდით და რად ვერ ვიცანით  
 და უპატრონოდ რატომ დავტოვეთ  
 ასათიანი და ფიროსმანი.

რატომ დავტოვეთ ბედის ამარა  
 ქართული ენის, სიტყვის მერჯულე,  
 რად არ დავმარხეთ საქართველოში  
 შოთა რუსთველი ანდა მერჩულე.

ბევრი წასულის ტკივილ-წუხილი  
 ფიქრის გორაზე ცრემლად გროვდება  
 და დღესაც ისმის საქართველოში  
 გურამიშვილის ხმა და გოდება.

ვაი, რომ დღესაც, დღესაც ვერ ვხვდებით,  
 ხარობდა მტერი და მოძალადე,  
 როცა ვლანძლავდით ზეიადს და მერაბს  
 და ვადიდებდით ქვეყნის ჯალათებს.

კვლავ ერთმანეთის შურით და მტრობით  
 მტერმა სამშობლო სანამ გვითელოს,  
 სანამ ვისმინოთ აკაკის სიტყვა –  
 „ფურთხის დირსი ხარ შენ, საქართველოვ“.

ვაგლახ, რომ დღესაც, დღესაც ვერ ვხედებით  
სამშობლო ჩვენთვის ყველაფერია...  
და ვრთმანეთის შური და მტრობა  
უპირველესი ჩვენი მტერია.

2009 წ.  
აკადემიუმი

\* \* \*

როცა გადავშლი „ქართლის ცხოვრებას“,  
სისხლით და ცრემლით ნაწერ სტრიქონებს,  
სამშობლოსათვის ნაწამებ გმირებს  
როცა ვხედავ და როცა ვიგონებ,

მე მეცოდება და მენანება  
(სხვა რაღა დამრჩა, აბა, სათქმელი),  
მე მეცოდება – კარგი სმა-ჭამით  
გალადებული ყველა ქართველი.

2010 წ.  
გაიხმო

\* \* \*

## „არც ქაცი გარგა უმტკრო“. ხალხური

ასე უთქვამთ და ალბათ სწორია,  
და ვერ გაიგლი ჩვენში ამაყად,  
თურმე ქვეყნისთვის არ გიცხოვრია,  
თუ სამშობლოში მტერი არა გყავს.

2009 წ.  
დეკემბერი

\* \* \*

რადგან არა მაქვს მლიქვნელის,  
ფარისეველის ნიჭი,  
დღევანდელ საქართველოში  
მიჭირს, ცხოვრება მიჭირს.

2010 წ.  
თბილი

\* \* \*

თუმცა ქრწანისზე არ მიბრძოლია  
და არც ყივჩაღთან მქონდა შეხვედრა,  
მაგრამ არც ისე არ მიცხოვრია,  
შემრცხევს ვინმესთვის თვალში შეხედვა.

2009 წ.  
იანვარი

\* \* \*

ეს ჭრელი წუთისოფელი  
ყველა მოსულის ხვედრია,  
ზოგისთვის ბედისწერა და  
ზოგისთვის კიდევ ბედია.

ამაოდ ცდება, გტყობა,  
ბევრი მოგვი და მისანი,  
ძალიან ცოტამ თუ იცის  
ამქვეყნად მოსვლის მიზანი.

2010წ.  
გარეთი

\* \* \*

„ბუნებაი ქართველთა ორგულ არს“.  
„მართლის ცხრმოშპა“

კი, ნამდევილად არის ასე,  
რადგან ჩეენში ხშირად ხდება,  
ქვეყნის ერთგულს ვლანძლავთ, ვებრძვით,  
რომ მოკვდება, ვუწყებთ ქებას.

ჯერ დალატი, ორგულობა  
და გატეხა სიტყვის, ფიცის,  
მერე მათი დატირებაც  
ქართველებმა კარგად ვიციო.

2009წ.  
სამთხვევები

## საოქტომბრო ლექსი ლენინს

მოტყუებულო ბავშვობის წლებო,  
 უბირს და უვიცს მე რა მეღონა,  
 თურმე სატანის შეილი ყოფილა,  
 მე რომ ხატი და წმინდა მეგონა.

ბელზებელი და ეშმაკის კერძი,  
 ბოლოს ლეშად და მუმიად იქცა –  
 ვხედავთ, ღმერთის და კაცის მოძულეს  
 არც ცა ლებულობს და აღარც მიწა.

2009 წ.  
 ოქტომბერი

## დღევანდელ ახალგაზრდობას

შერჩა სიცრუეს, სიყალბეს და არარაობას  
 მოტყუებული, გაძარცული ჩემი თაობა.

აღარ გვაცალეს არაგველთა კვალზე მიყოლა,  
 „პიონერმა“ და „კომკავშირმა“ გადაგვიყოლა.

ახლა ის წლები, ის დღეები რა სათქმელია,  
 თქვენ უკეთესი დღეები და წლები გელიან.

ახლა სხვა დროა და ეს გული სხვას რას ინატრებს,  
 მინდა მამული ჩემზე უფრო მეტად გიყვარდეთ.

მინდა, რომ თქვენი ოფლიცა და სისხლიც დაღვრილი  
 იყოს ქვეყნისთვის ოცნებით და ფიქრით დაღლილი.

სამშობლოს გარდა აღარ გყავდეთ თქვენ  
სხვა ბატონი  
და უკეთესი საქართველოს იყოთ პატრიტი.

2010წ.  
თბილისი

## სამშობლოს ვინც შეეწირა

სამშობლოს ვინც შეეწირა,  
განაღა მართლა მკვდრებია?  
გმირები საქართველოში  
თვალგახელილნი კვდებიან.

ძილშიაც რომ არ გვასვენებს,  
მათი სული და ხმებია.  
როცა სამშობლოს სჭირდება,  
საფლავებიდან დგებიან.

2010 წ.  
086060

\* \* \*

შავი ფერი თუ არაბის ფერი  
შემატებია დღეს თბილის-ქალაქს.  
უცხო ხმები და ჰანგები უცხო  
არ მოაკლდება, ეტყობა, ხვალაც.

სისულელეა ამაზე ფიქრი,  
სისულელეა, მაგრამ არადა –

თბილის-ქალაქი ოთხასი წელი  
კინადამ მართლაც გადაარაბდა.

ვახტანგ გორგასლის თბილის-ქალაქმა  
ოუკი დაკარგა თავის მშვენება,  
ვაგლახ! არ იქცეს საქართველოსთვის  
გადაშევება გადაშენებად.

2009 წ.  
ივლისი

\* \* \*

როდესაც გლეხი დაკოურილ ხელებს  
ოფლით გაედენთილ მიწას აფარებს,  
საქართველოს მტრებს უსკდებათ გული  
და მოყვარეთა გულებს ახარებს.

როცა ქვეყნისთვის იღვწის და იბრძვის,  
დღე მატულობს და დამჟ მოკლდება,  
სანამ გლეხებაცი მიწას პპატრონობს,  
არც საქართველო აღარ მოკვდება.

2010 წ.  
იანვარი

## გლეხეცის სიმღერა

„რა ამოწყდეს გლეხიკაცი,  
საქართველო დაძაბუნდეს“.  
მეცნ პრჩილ Ⅱ

არც ბატონი ვარ, არც ვინმეს მონა,  
არც ნაყიდი და არც გაყიდული,  
არც თავადი და და არც აზნაური,  
ქართველობაა ჩემი ტიტული.

სამშობლო არის ჩემი ბატონი  
და მისი სახე გულს მახატია,  
საქართველო და ქართველი ხალხი  
სალოცავი და ჩემი ხატია.

გლეხიკაცი ვარ, – ვამბობ ამაყად,  
მაქვს ჩემი ერის ზე და ბუნება,  
მეც სხვებთან ერთად გადავარჩინე  
სამშობლო დარდს და დაძაბუნებას.

ვემატებოდი მეც ჩემს ქვეყანას  
სისხლით და ოფლით მორწყელ მიწადა.  
საქართველოში სისხლიც და ოფლიც  
სამშობლოს მიწას ერთად იცავდა.

ერთად გვწევალობდა, ერთად გვიძლოდა  
ლაშარის ხატი, ჯვარი გუდანის,  
ასე ვიცავდით დედასამშობლოს  
სისხლით და ოფლით, ხმლით და გუთანით.

თორემ დალატით, შურით, ქიშპობით  
ჩვენი ქვეყანა ბევრჯერ დაიქცა

და დღესაც, დღესაც ყველა ქართველმა  
უნდა სამშობლო ერთად დავიცვათ.

ერთად დავიცვათ უნდა მამული,  
ისევ სისხლ-ხორცით, რწმენით, ფიქრებით.  
თუმცა გლეხი ვარ, მის სიყვარულში  
ყველა გვარის კაცს გავეჯიბრები.

სამშობლოსათვის ჩემი სიცოცხლე  
არც მენანება, არც მეცოდება,  
სამშობლო არის ჩემი ბატონი  
და ქართველობა – ჩემი წოდება.

2009 წ.  
გაიხი

\* \* \*

საქართველოს სადიდებლად  
თუმცა ბევრი ლექსი ითქვა,  
მეც უჩუმრად ვევედრები,  
ვეზერები ქართულ სიტყვას.

არ ვეშვები ქართულ ენას  
და სიცოცხლის მაინც მჯერა,  
მაინც ვებრძვი წუთისოფელს,  
არ ვნებდები ბედისწერას.

2010 წ.  
086060

## ქალბატონ მანანა ჯანელიძეს

„მე თანამედროვე ლექსები მჰირდება,  
თქვენი ლექსები ერთმანეთს ჰგავს“.

გ. კ.

— არა, ერთმანეთს კი არა,  
მე მგვანან ჩემი ლექსები.  
მე კი ქართველი კაცი ვარ  
გენით, სისხლით და ფესვებით.

რადგან არასდროს მწყინდება  
ჩემი სამშობლოს შექება,  
მე სხვანაირი ლექსები  
არც მინდა და არც მექნება.

2010 წ.  
გაიხო

## გლობალიზმი და ჩამორჩენილი კაცის ფიქრები

მუშაბნებიან, რომ დროს ჩამოვრჩი  
და სიჯიუტე მეტისმეტია,  
რა დროს სამშობლოს სიყვარულია,  
დედამიწა ხომ ქვეყნად ერთია.

მეუბნებიან და თან სიტყვები  
მესმის სულის და გულის ამკლები:  
— განა რუსული ან ინგლისური  
ქართულ ენაზე არის ნაკლები?!

ყველამ თავის თავს და ბედს მიხედოშ,  
 ვერ დაუძგები მე სხვებს თავდებად,  
 მაგრამ მე ვიცი, რომ უცხო მიწა  
 სამშობლოდ აღარ გამომადგება.

რაში მჭირდება, რაში მარგია  
 უცხო ცისა და მიწის შეხედვა,  
 თუ ჩემს დიდგორსა და ჩემს მთაწმინდას  
 ვეღარ ვნახავ და ვეღარ შევხედავ.

როგორ ვიარო საქართველოში,  
 სიცოცხლის დღეებს როგორ დავითვლი,  
 თუ არ ვახსენებ შოთა რუსთაველს,  
 სახელს თამარის, სახელს დავითის.

ქართული მიწა თუ არ მეტრება,  
 ისე საფლავში რა მომასვენებს...  
 უნდა ვიცოცხლო საქართველოსთვის  
 და სამშობლოსთვის მოვკვდე ასევე.

ვერ გაუგიათ სულგაყიდულებს,  
 ვერ გაუგიათ ეშმაქმაცილებს,  
 უცხო ენას ხომ მაშინ აქვს ფასი,  
 ქართული ენა თუ უმასპინძლებს.

უსაქართველოდ, უქართულენოდ  
 ვეღარ ვივლი და ვეღარ ვიქნები,  
 და ქართულ მიწას შევემატები  
 ჩამორჩენილი კაცის ფიქრებით.

მე ამ სიკეთეს, მე ამ წყალობას  
დაბადებიდან გულით ველოდი,  
რადგანაც ჩემთვის ეს დედამიწა  
იწყება ისევ საქართველოთი.

2010 წ.  
განვითარების  
მინისტრი

## ინჩიბინჩი

თუმცა არ იცის ქართული  
ლექსის ხიბლი და სურნელი,  
ლექსთმცოდნებას იბრალებს  
ინჩიბინჩი და სულელი.

2010 წ.  
განვითარების  
მინისტრი

## სხვის მისაბაძი რაღა მჭირს

სხვის მისაბაძი რაღა მჭირს,  
ანდა ვის დავესესხები,  
„ვეფხისტყაოსნის“ პატრონი,  
პატრონი ხალხურ ლექსების.

არაფერი მაქვს საძებნი  
არც მთაში და არც ბარადა,  
გული თავისთვის ღიღინებს  
„მოყმის და ვეფხვის“ ბალადას.

2010 წ.  
განვითარების  
მინისტრი

\* \* \*

ხანდახან ისეთ ლექსებს გკითხულობ,  
 ფშავ-ხევსურეთის ლექსი მშივდება,  
 მერე გადავშლი ვაჟა-ფშაველას  
 და ამღვრული ფიქრი მშვიდდება.

2010 წ.  
 გაიხს.

## შველა ქართველი პოეტის ლექსი

შველა ქართველი პოეტის ლექსი  
 უნდა თავის ხალხს, სამშობლოს პგავდეს  
 და ქართველ პოეტს უპირველესად  
 უნდა ქართველი მკითხველი პყავდეს.

ქართული ლექსის სულს და მშვენებას  
 ვეღარ ჩასწვდება უცხოთა თვალი,  
 თუ არ იქნება ქართული ენით,  
 ქართული სიტყვით ბოლომდე მთვრალი.

თუ ქართულ ლექსში არ იჩქრიალებს  
 ქართული სისხლი, ქართული გენი,  
 ისეთ ლექსებს და ისეთ პოეტებს  
 არ უწერიათ გზა გადარჩენის.

ვერაცინ შეცვლის ამ ქვეყანაზე  
 განგებისა და ბუნების სურვილს,  
 უცხო ენით და უცხო ლექსებით  
 არ ითარგმნება პოეტის სული.

ყველა ქართველი, მკვდარიც, ცოცხალიც,  
ხომ უნდა თავის მამულ ში ცხონდეს  
და ქართველ პოეტს უპირველესად  
უნდა თავისი სამშობლო ჰქონდეს.

უსაქართველოდ ქართული ლექსი,  
ქართული სიტყვა კვდება და ქრება  
და სჯობს სამშობლოს ერთი ლიმილი  
უცხოთა ათას ხოტბას და ქებას.

2010 წ.  
გაიხო

\* \* \*

დღეს არ გაკლია მლიქენელთა  
ხოტბა, ტაში და დიდება,  
დრო მოვა, ეს ყველაფერი  
ჩიტივით გაგიფრინდება.

თუმც დღეს საგარმლის წყალობით  
კალამს და ნაწერს გიქებენ,  
როცა უსკამოდ დარჩები,  
ვნახოთ, მაშინ ვინ იქნები.

2010 წ.  
გაიხო

## წიგნის ფასი

მეფე დავით აღმაშენებელს ბრძოლის  
გელზეც წიგნები მიჰქონდა.

წიგნებში უნდა ექცებოს,  
ვისაც სიმართლე სწყურია,  
წიგნი ჭკუის და გონების  
და სიბრძნის საგანმურია.

ზოგიერთებმა დღესაც კი  
აღარ იციან იქნება,  
პირველად იყო სიტყვა და  
დვოის სიტყვა იქცა წიგნებად.

დიდმა დავითმა ამ განძის  
ფასი და ყადრი იცოდა  
და თავის ხალხს და ქვეყანას  
ხმლით და წიგნებით იცავდა.

ასეთი მეფის შემყურე  
ხალხი მტერს მტრულად ხვდებოდა,  
კარგი მეფისთვის იბრძოდა  
და სამშობლოსთვის კვდებოდა.

ასე გადარჩა ქვეყანა,  
დვოისა და მეფის წყალობით,  
დიდგორის გელზე – მახვილით,  
სვეტიცხოველში – გალობით.

ამიტომ ჩვენი ჯილაგი  
ვერა და ვეღარ მოთხარეს.

ამიტომაც გვყავს ამქვეყნად,  
ბევრი მტერი და მოყვარეც.

რომ მომავალშიც არ დარჩეს  
სამშობლო გულდაწყვეტილი,  
აღარ მოაკლო, უფალო,  
მეუე ბრძენი და კეთილი.

2010 წ.  
გარე

\* \* \*

გამოვიარეთ გზა გრძელზე გრძელი,  
აღარ გვივლია მიეთმოეთით,  
გვყავს რუსთაველი – პოეტი-მეუე  
და გვყავს არჩილი – მეუე-პოეტი.

რომ არა მათი ღვაწლი და ნიჭი,  
სამშობლოს როგორ მოვიპოვებდით.  
ვაჭა-ფშაველა – პოეტი-მეუე,  
ვახტანგ მეექვე – მეუე-პოეტი.

გვყავდა, გვყოლია და გვეყოლება,  
რადგან აქამდე ასე მოვედით,  
გალაკტიონი – პოეტი-მეუე,  
თეიმურაზი – მეუე-პოეტი.

2010 წ.  
08 მიხეილი

## მთაწმინდა

მთაწმინდას საქართველოში  
სხვა წყალობა და მაღლი აქვს.  
აქ მკვდარს არავინ ღებულობს,  
გარდაცვლილები ადიან.

2010 წ.  
გაიხო

## იცოცხლებს მისი სახელიც, ლექსიც

მუხრან მაჭაგარიანის ხსოვნას

ეხედავთ, დიდია ხალხის  
ცრემლი, გოდება, მოთქმა.  
ხალხის პოეტი იყო  
და ხალხის თვალწინ მოკვდა.

მოკვდა ქართული სულით,  
გულით, სისხლით და ხორცით,  
ქართული ლექსის კითხვით,  
ქართული სიტყვის ლოცვით.

რადგან ნათელი უფლის  
ადგა მის ნიჭს და სინდისს,  
ბევრი პოეტი ქვეყნად  
ინატრებს ასეთ სიკვდილს.

ყველა, მოსული ქვეყნად,  
კვდება ადრე თუ გვიან,

დიდი მუხრანის სიკვდილს  
დიდი სიცოცხლე ჰქვია.

რაღგან მამულში უდგას  
თავის ძირი და ფეხვი,  
იცოცხლებს ქვეყნად მისი  
სახელიცა და ლექსიც.

2010 წ.  
18 გაიხ

\* \* \*

საქართველოში მუდამ ფასობდა  
კარგი კაცი და გვარიშვილობა.  
გაგიხარია, დღესაც კარგია  
ცნობილი დედის, მამის შვილობა.

მაგრამ ხანდახან სასაცილოა  
მათი ქცევა და მათი ყურება,  
ვისაც პგონია, კარგი დედ-მამა –  
ეს არის მისი დამსახურება.

2010 წ.  
გაიხ

\* \* \*

როცა წუხილი და სიმარტოვე  
პოეტს აწება გულზე ლოდივით,  
ნეტავ რომელი რომელს სჯობია –  
ლექსის მოსვლა თუ ლექსის ლოდინი.

ამაოებით დაღლილი სული  
ორივეს ლოცავს და ეფერება.  
ლექსზე ოცნება სიხარულია,  
ლექსის გაწენა – ბედნიერება.

2009 წ.  
ნოემბერი

\* \* \*

რაც უფრო ვხვდები ლექსის ხვაშიადს,  
იღუმალება მაოცებს მისი.  
რა ცოტა ხდება ბედის რჩეული,  
მართლაც ნამდვილი ლექსების დირსი.

მე კი, მე, ვატყობ, ისე ვთავდები,  
სიტყვის ტაძართან ვეღარ მივედი,  
ოცნებისა და ჩემი ლექსების  
გადამეწურა უკვე იმედი.

მაინც სტრიქონებს ველაციცები  
და სული ქართულ ლექსს ეფერება.  
ნეტავ ვიცოდე, ეს ჭველაფერი  
სასჯელია თუ ბედნიერება.

2009 წ.  
აგვისტო

\* \* \*

ისევ ირევა წუთისოფელი,  
მწარე ფიქრებმა დამიმარტოვეს,  
პოვტს ვინ ჩივის, საქართველოში,  
ვატყობ, დღეს ლექსეაც არ ჰყავს პატრონი.

ეს უგულობა და გულგრილობა,  
ჩანს, ყივჩაღივით შემოგვეყარა.  
არ ეკადრება ეს საქართველოს,  
პოეზიის და შოთას ქვეყანას.

2010 წ.  
აბრილი

## ავთანდილ ჭაბაშვილს

ჭირს გატანა თავის,  
რადგან დროა მკაცრი,  
ზის ბუქიას ბაღში  
ფეხმოჭრილი კაცი.

არის დროის ბრალი  
და არ რიდობს, მორცხვობს,  
მზესუმზირას ყიდის  
და ლექსებით ცოცხლობს.

მომსვლელსა და მყიდველს  
ხურდა ფულის გარდა  
ეტყვის ქართულ ლექსებს  
და უფასოდ ატანს.

თუმცა ბაღში ბევრი  
ჭორ-მართალი ესმის,  
ცოცხლობს ქართულ სიტყვით,  
ცოცხლობს ქართულ ლექსით.

ლადობს ქართულ სიტყვით,  
სულს ლექსებით ითბობს,  
მეტ სიმდიდრეს ქვეყნად  
აღარც თვითონ ითხოვს.

2009 წ.  
ნოემბერი

\* \* \*

ბევრჯერ მოკლულო ჩემო ოცნებავ  
და დაკარგულო ჩემო იმედო,  
ბევრჯერ დალატით გულდაწყვეტილი,  
ვიდას მივყვე და ვიდას მივენდო.

მხოლოდ სამშობლო და მხოლოდ ლექსი  
და სტრიქონებთან ფიქრით ლაციცი,  
სხვა სიხარული წლებმა წაიღო,  
სხვა სიხარული რაა არც ვიცი.

და გულს ოცნება, სულს სიმარტოვე  
როცა სწყურია ან როცა შია,  
მხოლოდ ლექსისა და მხოლოდ სამშობლოს  
ვანდობ გულის და სულის ხვაშიადს.

მხოლოდ სამშობლო და მხოლოდ ლექსი,  
სხვა ყველაფერი წარმავალია

და კცოცხლობ ისევ მათი იმედით,  
როცა გაძლება მიჭირს ძალიან.

2010 წ.  
აპრილი

## ველი

ველი, კი ველი, მაგრამ არ ვიცი,  
რას ველოდები ანდა რას ველი.  
გამოუცხობი ეს მოლოდინი  
არის მტანჯველი და საშინელი.

2010 წ.  
აპრილი

\* \* \*

რადგანაც წყდება უჩვენოდ  
ჩვენი მოსვლა და გაჩენა,  
რადგან არავინ არ უსმენს  
ჩვენს სურვილსა და არჩევანს,  
ძალიან ცოტას ხვედრია  
თურმე ამქვეყნად დარჩენა.

2010 წ.  
სეზთეზბერი

\* \* \*

ზოგს ეგონა, ვარსკვლავს წყვეტდა,  
მიწაზე ვერ ეტეოდა,  
მლიქვნელების ყალბი ტაში  
გარს მუმლივით ეხვეოდა.

ის ტაში და ყალბი წლები  
სულ ამაოდ დაიხარჯა,  
ვარსკვლავები ცაში დარჩა,  
სახელი კი გაქრა, არ ჩანს.

დღესაც ბევრი ყელყელაობს  
და ეტყობა ვეღარ ხვდება,  
რაც მამულს და ხალხს არ რჩება,  
ყველაფერი მიღის, ქრება.

2010 წ.  
სამართლებრივი

\* \* \*

რადგან ქვეყნად არაფერი  
და არავინ არ მრჩება,  
სიცოცხლეს და სიკვდილს შორის  
ვერ ვაკეთებ არჩევანს.

რადგან დავრჩი ასე მარტო,  
ასე სასომიხდილი,  
ვიყო ვისი მადლობელი –  
სიცოცხლის თუ სიკვდილის.

2010 წ.  
პრეზიდენტი

\* \* \*

თუმც ხშირად ამაოების  
დარდი და სევდა მერევა,  
მაინც ამქვეყნად გაჩენა  
მგონია ბედნიერება.

მაინც მივყვები ღრო-ჟამის  
და წუთისოფლის დინებას,  
რადგანაც ღმერთმა ქართველად  
ჩემი გაჩენა ინება.

\* \* \*

თუ კიდევ რამე ადარდებს  
და გულს აწვება მწუხარივით, —  
ისევ სამშობლოს ტკივილი  
და ჩემი ხალხის წუხილი.

სხვა ყველა ჯილდო-ტიტული,  
ოქრო არის თუ ვერცხლია,  
სხვა ყველაფერი ფუჭია,  
სხვა ყველაფერი ფერფლია.

სხვა ყველაფერი ამქვეყნად  
უპვალოდ წარმავალია,  
სხვა ყველაფერი მტვერია,  
სხვა ყველაფერი წყალია.

2009 წ.  
086060

\* \* \*

თუ ვერ გავარჩევთ კარგს და ცუდს,  
საწუთო არ შეგვიცოდებს,  
სიცოცხლის ფასი რომ ვიცით,  
სიკვდილის ფასიც ვიცოდეთ.

სიცოცხლეცა და სიკვდილიც  
ხელდასხმულია უფალის.  
სიცოცხლე ჩვენი ღედაა,  
სიკვდილი – ჭირისუფალი.

ვინც ტოვებს ამ წუთისოფელს,  
განაღა ყველა მქვდარია,  
კარგი სიკვდილი ამქვეყნად  
სიცოცხლის საწინდარია.

2010 წ.  
გაიხო

\* \* \*

ვედარ ვხედავ იმ სიზმრებს,  
იმ დროს, იმ წლებს, იმ ფერებს...  
რა მაწუხებს? რა მტკიცა?  
სიბერე მჭირს, სიბერე.

2009 წ.  
ღვაძებერი

\* \* \*

არეულია დღეები,  
არეულია ფიქრებიც,  
ვეღარ ვპოულობ სტრიქონებს,  
თავს მარიდებენ რითმებიც.

როგორც ეტყობა, შემოვრჩი  
სიბერეს და სიმარტოვეს.  
აღბათ სიცოცხლეც აღარ დირს,  
ლექსებმაც თუ მიმატოვეს.

2010 წ.  
ხემაუბამი

\* \* \*

რა უმიზნო გახდა ყოფნა,  
გაი, ჩემი თავის ბრალი.  
რომ დავბერდი, მაშინ მივხვდი,  
რა ყოფილა თურმე ქალი.

2008 წ.  
იანგარი

## ხუმრობით ნათქვამი ლექსი

რაკი დავბერდი, ჩემი წუხილი,  
ეტყობა, არვის არ ეყურება.  
სანამ გაუძლოს ბებერმა გულმა  
ამდენ ლამაზი ქალის ყურებას.

სანამ თვალი ჭამს, სანამ თვალი სვამს,  
ეტყობა, სულში მაინც დარია,  
ყველა ლამაზი ქალის დანახვა  
გულს ახალისებს და უხარია.

2009 წ.  
ოძთოვბები

\* \* \*

შენთან შეხვედრას ვნატრობ  
და შენზე ვფიქრობ მარტო.  
შენი სიცილი მათრობს,  
შენი ღიმილი მათბობს,  
შენი იმედით, კარგო,  
ლექს და სიცოცხლეს არ ვთმობ.

2010 წ.  
აბგონტო

\* \* \*

თუმცა წლები მემატება,  
სული მაინც სულია,  
სიყვარული მენატრება,  
სიყვარული მწყერია,

საყვარელი ქალის ქება  
და ლექსებში ხსენება,  
მასზე ფიქრი და ოცნება  
და ღამეთა თენება.

წლები კი წლებს ემატება,  
მაგრამ გული გულია.  
სიყვარული მენატრება,  
სიყვარული მწყურია.

2010 წ.  
ხეძოვებერი

\* \* \*

„გათენებულა, გამიშვი,  
გამიჯაგრდება დედათ“.  
ხალხური

შენ რომ წახვიდე, დამტოვო,  
ჩემი მშველელი ვინ არი.  
დამაზრობს დარდის ყინული,  
წამიღებს ცრემლის მდინარე.

შენ რომ წახვიდე, ვაიმე,  
იმედის ძაფი გაწყდება,  
განა მარტო მე ვიდარდებ,  
ვარსკვლავებს გული დაწყდებათ.

დავრჩები მარტო, უელი,  
უმწეოდ ხელაპყრობილი,  
არ გამიღიმებს უშენოდ  
არც მთვარე, შენი დობილი.

უბულოდ, უსიყვარულოდ  
სიხარული ხომ არ მოვა.  
შენ რომ წახვიდე, დამტოვო,  
ჩემთვის მზე როგორ ამოვა.

როგორდა გაეძლო უშენოდ,  
 შენს გულთან ლოცვით მისულმა,  
 ან დედა რატომ იჯავრებს,  
 თუ გულმა გული ისურვა.

2009 წ.  
 0360ხ0

## თუ დაგიჭირეს ქალის თვალებმა

თუ დაგიჭირეს ქალის თვალებმა,  
 ღიმილ-სიცილით გადაგიბირეს,  
 მაცდური არის ქალის კისკისი,  
 ვეღარ გაიგებ, თუ რას გიპირებს.

2010 წ.  
 0268არ0

\* \* \*

ოქრო და ვერცხლი, გვირგვინი, ტახტი –  
 წარმავალია ეს ყველაფერი,  
 ეს ყველაფერი, ჩემო კარგებო,  
 გახდება ბოლოს მიწა და მზვერი.

წუთისოფელი მართლაც წუთია  
 და უნდა გითხრათ ჩემი სათქმელი,  
 მხოლოდ ლექსებმა გადაარჩინეს  
 ბევრი ლამაზი ქალის სახელი.

სხვა ყველაფერი არის მირაჟი,  
 სხვა ყველაფერი არის ზმანება.  
 ჩემო კარგებო და ლამაზებო,  
 ლექსისთვის კოცნა ნუ გენანებათ.

2010 წ.  
 02 ნოემბერი

\* \* \*

კარგად ვგრძნობ და კარგად ვხედავ  
 და შეჩვევა არის ძნელი,  
 დავბერდი და მავიწყდება  
 ბევრის გვარი და სახელი.

მავიწყდება ბევრი ლექსიც,  
 ერთ დროს გულით რომ მიყვარდა.  
 დამავიწყდა ბევრი სიტყვაც,  
 სიტყვა „საქართველოს“ გარდა.

სამშობლოს რა დამავიწყებს,  
 მესხომება აქაც, იქაც,  
 რადგან სიტყვა „საქართველო“  
 აწერია გულის ფიცარს.

2010 წ.  
 გაიხო

\* \* \*

ქართული ენა გულის ძგერაა,  
 სხვაგვარ სიცოცხლეს არც ვეპირები.  
 ლექსი კი ჩემი ბედისწერაა,  
 რომელსაც ბოლოს შევეწირები.

2010 წ.  
 იანვარი

\* \* \*

ისე მაცოცხლე, უფალო,  
 წასვლისა აღარ მრცხვენოდეს,  
 სიკვდილი მიღიმოდეს და  
 სიცოცხლეს ვენანებოდე.

ისე მიმყოფე სამშობლო,  
 არ იყოს მტრობა, ინადო,\*  
 ჩემს ლამაზ საქართველოში  
 ისევე მოსვლა ვინატრო.

2010 წ.  
 იანვარი

---

\* ინადო – შური, ქოში.

\* \* \*

აღარ მჭირდება ჯილდო-ტიტული,  
არავითარი ხოტბა და ქება,  
არც ნაყიდი გარ, არც გაყიდული  
და არაფერზე გული არ მწყდება.  
მიმაქვს საფლავში მართალი სული,  
სიღარიბე და პატიოსნება.

2009 წ.  
08 მაისი

\* \* \*

ასე იყო ჩვენში ოდით,  
უფლის ნებით ასე ხდება,  
ჩვენ წავალთ და სხვები მოვლენ,  
საქართველო არ მოკვდება.

მჯერა, ისევ დვთისმმობელი  
დაიფარავს იმ ქართველებს,  
საქართველო იცოცხელებს და  
ქართველი კვლავ იქართველებს.

2010 წ.  
სექტემბერი

\* \* \*

ისევ მიდი-მოდიან, მეფეა თუ მესია,  
მაგრამ ქვეყნად არ კვდება ლექსი და პოეზია.

ბევრი ქეგლი ინგრევა დროით განაწირები,  
მაგრამ ქვეყნად არ კვდება სახელები გმირების.

რადგან იმათ სახელებს კლოცავთ და გეფერებით,  
საქართველოს სტირდება ლექსი და სიმღერები.

რადგან გვეამაყება სვეტიცხოვლის კედელი,  
საქართველოს სჭირდება ფუნჯი და საჭრეთელი.

თუმც ყველას და ყველაფერს ქვეყნად  
დასასრული აქვს,  
იმ ფრესკებში, ლექსებში საქართველოს სულია.

სწორედ მათი წყალობით მტერი ვერ მოგვერია,  
უკვდავ „მრავალეამიერს“ ჩვენში დღესაც მღერიან.

დღესაც გულს გვაწერია, მთაშია თუ ბარადა,  
იმ მოყმის და იმ კეფხვის დაწერილი ბალადა.

რადგან ლექსით, სიმღერით ვევედრებით უფალსაც, არ მოკვდება არასდროს ჩვენში „მუმლი მუხასა“.

2010  
086060

## სარჩევი

თუ მამულს არ ვუპატრონეთ.	5
ყველა ქართველის ვალია.	6
„წუთისოფლის სტუმრები ვართ“.	7
ვისაც საქართველო უყვარს.	8
არ უწერია გადაშენება.	9
* * * (საცოდავია ყველა ქართველი).	11
დიდია ქვეყნის ტკივილი.	12
მარიამობის დღეს ნათქვამი ლექსი.	13
* * * (რადგან ქართველად გაჩენა).	14
აფხაზეთიდან ლტოლვილებს.	15
დედების ცრემლი.	16
* * * (ჩვენს დიდ წინაპრებს მამული).	18
სასაფლაო.	19
* * * (თუმცა ბევრი მტერი ჰყავდა).	19
როდესაც ვისმენ ლოცვა-გალობას.	20
* * * (მე ვერ ვიქნები მსაჯული).	20
* * * (თუმც ქართული სიტყვის, ენის).	21
წუთია წუთისოფლი.	22
არის სიმდიდრე საქართველოსი.	23
ქართული ცეკვა, სიმდერა.	23
ევა – პირველი დედა.	25
ქართველი ქალი ქვეყნისთვის ხან ფარი იყო, ხან ხმალი.	25
ქართვლის დედებო, ქართვლის მამებო.	27
შოთა რუსთაველი.	28
საქართველოს მარადიული დესპანი.	29
პრემია.	30

* * * (ასე იყო, ასე არის). . . . .	31
* * * (როცა ამაოდ ვჯახირობ). . . . .	31
ვიბრძოდებთ და ვიდავითებთ. . . . .	31
* * * (რადგანაც გავჩნდით განგების ნებით). . . . .	33
* * * (ყველას მეფობა ნუ გვინდა). . . . .	33
* * * (ვაგლახ, დღეს ბევრი სულელი). . . . .	33
* * * (რადგან უფალმა ასე ისურვა). . . . .	34
* * * (როგორ გინდა არ შეხედო). . . . .	34
* * * (ხომ იდგა საქართველოში). . . . .	35
„დიდი კაცი“ . . . . .	35
ყველა ჯილდო და ტიტული. . . . .	37
თუკი დადგება ჩვენში დრო-ჟამი. . . . .	38
* * * (გვიჭირს ქართველებს ცხოვრება). . . . .	38
მომრავლდა საქართველოში. . . . .	39
* * * (მუდამ ბევრი მტერი პყავდა). . . . .	39
მესკამები. . . . .	40
* * * (რისი ხალხი და ქვეყანა). . . . .	40
სულის გამყიდველები. . . . .	41
* * * (კვლავ ერთმანეთის მტრობა და). . . . .	43
რამ შეგაყვარათ სამშობლოს მტრები. . . . .	44
* * * (ისეთი ბაქიბუქია). . . . .	44
* * * (სულში ვაფურთხებ ყველა იმ ქართველს). . . . .	45
* * * (როცა დროა ბოლმიანი). . . . .	46
* * * (ჩვენ ერთმანეთის შურ-მტრობამ). . . . .	46
როცა სამშობლოს უჭირს ძალიან. . . . .	47
„ცნობადი სახე“. . . . .	47
წყალი და ქვიშა. . . . .	48
* * * (კი, შეცდომებიც კი იყო). . . . .	49
* * * (ბევრ ნაცნობსა და მეგობარს). . . . .	49
* * * (დღეს რაც არის, კი ვხედავ). . . . .	50

* * * (ვერ მივემატე მღლიქვნელთა).	50
არ მივლია ქვეყნის გზებზე.	51
გართობა.	52
კაფიობა მთაში.	53
ქართველ მორაგბეებს.	54
დიალოგი სულთან.	55
განა სიკვდილი მაშინებს.	56
მეც „ადამიანს დავეძებ“.	57
* * * (ძველ ნაცნობს რომ ვედარა ვცნობ).	58
* * * (ოცნების წლები, ვატყობ, შორს დარჩა).	58
* * * („გრძნობა ბავშვია“, – ბრძანა პოეტმა).	58
* * * (დამიმარტოვეს ფიქრებმა)	59
* * * (როცა ვერ ვუძღლებთ ამქვეყნად).	60
* * * (რადგან არა და აღარ თავდება).	61
* * * (როდესაც პოეტს გულის ხმა ესმის).	61
დრომ წარიტაცა, წაიღო.	62
ლადო.	62
* * * (არის თურმე ბედისწერა).	63
წარწერა გული სალუქევაძის წიგნზე.	63
* * * (სანამდე ცოცხლობ, თუ გაუძელი).	63
* * * (ამაო არის ყოველი).	64
* * * (ვატყობ, ხარობს სულიც, გულიც).	64
* * * (რაა საწუთოო, თუ ვერ შევძელი).	65
* * * (როცა ცხოვრება ირევა).	65
* * * (ვატყობ, დღეები იქცნენ წამებად).	66
* * * (რადგან არ არის ადვილი).	66
არის დიდი გამოცდა.	66
* * * (ჩვენი აქ ყოფნის მიზანი).	67
* * * (აბა, რაღა შეცველის ადამიანს).	67
* * * (რადგან ცოტაა ამქვეყნად).	68

* * * (უნდა ვიჩქარო, უნდა ვთქვა).	68
* * * (მართალი კაცის წინაშე).	68
* * * (რადგანაც გავჩნდით ამ ქვეყანაზე).	69
უპირველესი ჩვენი მტერია.	69
* * * (როცა გადავშლი „ქართლის ცხოვრებას“).	71
* * * (ასე უთქვამთ და ალბათ სწორია).	72
* * * (რადგან არა მაქვს მღიქვნელის).	72
* * * (თუმცა კრწანისზე არ მიბრძოლია).	72
* * * (ეს ჭრელი წუთისოფელი).	73
* * * (კი, ნამდვილად არის ასე).	73
საოქტომბრო ლექსი ლენინს.	74
დღევანდელ ახალგაზრდობას.	74
სამშობლოს ვინც შეეწირა.	75
* * * (შავი ფერი თუ არაბის ფერი).	75
* * * (როდესაც გლეხი დაკოურილ ხელებს).	76
გლეხების სიმღერა.	77
* * * (საქართველოს სადიდებლად).	78
ქალბატონ მანანა ჯანელიძეს.	79
გლობალიზმი და ჩამორჩენილი კაცის ფიქრები.	79
ინიბინჩი.	81
სხვის მისაბამი რადა მჭირს.	81
* * * (ხანდახან ისეთ ლექსებს ვკითხულობ).	82
ყველა ქართველი პოეტის ლექსი.	82
* * * (დღეს არ გაკლია მღიქვნელთა).	83
წიგნის ფასი.	84
* * * (გამოვიარეთ გზა გრძელზე გრძელი).	85
მთაწმინდა.	86
იცოცხლებს მისი სახელიც, ლექსიც.	86
* * * (საქართველოში მუდამ ფასობდა).	87
* * * (როცა წუხილი და სიმარტვე).	87

* * * (რაც უფრო ვხვდები ლექსის ხვაშიადს). . . . .	88
* * * (ისევ ირევა წუთისოფელი). . . . .	89
ავთანდილ ჭაბაშვილს. . . . .	89
* * * (ბევრჯერ მოკლულო ჩემო ოცნებავ). . . . .	90
ველი. . . . .	91
* * * (რადგანაც წყდება უჩვენოდ). . . . .	91
* * * (ზოგს ეგონა, ვარსკვლავს წყვეტდა). . . . .	92
* * * (რადგან ქვეყნად არაფერი). . . . .	92
* * * (თუმც ხშირად ამაოების). . . . .	93
* * * (თუ კიდევ რამე ადარდებს). . . . .	93
* * * (თუ ვერ გავარჩევთ კარგს და ცუდს). . . . .	94
* * * (ვეღარ ვხედავ იმ სიზმრებს). . . . .	94
* * * (არეულია დღეები). . . . .	95
* * * (რა უმიზნო გახდა ყოფნა). . . . .	95
ხუმრობით ნათქვამი ლექსი. . . . .	95
* * * (შენთან შეხვედრას ვნატრობ). . . . .	96
* * * (თუმცა წლები მემატება). . . . .	96
* * * (შენ რომ წახვიდე, დამტოვო). . . . .	97
თუ დაგიჭირეს ქალის თვალებმა. . . . .	98
* * * (ოქრო და ვერცხლი, გვირგვინი, ტახტი). . . . .	98
* * * (კარგად ვგრძნობ და კარგად ვხედავ). . . . .	99
* * * (ქართული ენა გულის ძგერაა). . . . .	100
* * * (ისე მაცოცხლე, უფალო). . . . .	100
* * * (აღარ მჭირდება ჯილდო-ტიტული). . . . .	101
* * * (ასე იყო ჩვენში ოდით). . . . .	101
* * * (ისევ მიდი-მოდიან, მეფეა თუ მესია). . . . .	102

0291/160



წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

ფასი სახელშეკრულებო

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ზანში“

მ ტაშქენტის ქ. №25, ბ., ტელ. 38-03-11

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში

მ ჰავეჯაფაძის გამზ. №19, ბ., ტელ. 22-36-09

K275.437  
3

UNIVERSITY OF TORONTO LIBRARY  
SERIALS SECTION